რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 27 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—60 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 21 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 21

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ.	6 თვით — 27 მანეთი
2 თვით — 9 მანეთი.	1 წლით — 50 მანეთი
3 თვით — 13 მ. 50 კ.	ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ აიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ელისაბედი პავლოს ასული, ძმები ვასილი, დავითი, გიორგი, ივანე და ნიკოლოზი გრიგორის ძენი, რძლები: ეკატერინა გრიგორის ასული და ოლღა ალექსანდრეს ასული ონიკაძენი, დიდის მწუხარებით იუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობრებს ძვირფასი და საყვარელი

ბარბარე (ვარა) გრიგორის ასული გალაშვილის

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე საკუთარ ბინაზე შელკოვნიკოვის ქუჩა № 5. გამოსვენება ცხედრისა მოხდება კვირას, 28 იანვარს ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—2)

საკომერციო ცოდნის კურსები

ა. ნ. ინწკირველისა

ბათუმში.

კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ დღე საღამოობით 5—8 საათ. კურსებზე მიიღება ყველანი უმაღ. პირველდაწყებით სასწავლებლის ცოდნით. კურსებზე ასწავლიან: საერთო ბუხგალტერიას, კომერციულ ანგარიშს, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო და სათამასუქო სამართალს, საბანკო ბუხგალტერიას, კოოპერაციას—საკრედიტოსა და მომხმარებელს.

მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვლიდან მარინის ქალთა სასწავლებ. შენობაში.

სწავლის ფასი 200 მანეთი.

კურსებზე ჩაწერა შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში გამგეობის მდივანთან 12—2 საათამდე. (6—1)

სახაზინო თეატრი

დილის წარმოდგენა.

კვირას, 28 იანვარს 1918 წ. ქართულ ოპერეტის დასის მიერ თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა

არშინ-მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქ. გაჯიბეგოვისა, თარგ. გიგოშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, მარგველაშვილი, გიგოშვილისა, ფეიქრიშვილი, ბ. ბ. მირველოვი, რევაზიშვილი, ჯანველოვი, ჩაგუნავა.

დასაწყისი დილის 12 ნახ. საათზე.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

(3—2) გამგე ალ. ბადრიძე.

შაბათს, 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში (ერევნის მოედანი) დანიშნულია მეოთხე რაიონის რ. ს.-დ. მ. პარ. წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველია ამიერ-კავკ. სოც.-დემოკრატიული ყრილობის შემდეგი კითხვები:

1) სეიმი და მისი დანიშნულება
2) ზავის საკითხი, } მოხსენებას გააკეთებს ამხ. ქ. ჩხეიძე.
3) ყრილობის დელეგატების არჩევნები.
4) მიმდინარე კითხვები.

კრებაზე შესვლა შეიძლება მხოლოდ საწევრო ბარათებით. (2—2)

შაბათს, 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია თფილ. მუშათა და ჯარ. დეპ. საბჭოს მუშათა სექციის

აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

დღის წესრიგი: 1) არჩევნები კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს მუშათა ის კატეგორიები, რომელნიც სარგებლობენ დამატებითი პურის რაციონით; 2) ბეჭდვითი საქმის მუშათა ტარიფის უფლებრივი დებულების განხილვა; 3) ოთხი წარმომადგენლების არჩევა შრომის კომისარიატის მუდმივ საბჭოში; 4) სექციის სხდომის დღეების დანიშვნა; 5) სამხედრო-სანიტარულ კომისიისთვის ორი წევრის არჩევა; 6) ამხ. თუმანოვის მოხსენება საოლქო ბიროს შესახებ; 7) პრეზიდიუმის არჩევნები; 8) ექიმ გოლპერშტეინის მოხსენება მუშათა სამედიცინო დახმარებაზე; 9) მიმდინარე კითხვები. რადგან კრებაზე ძლიერ საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ვსთხოვთ მუშათა სექციის აღმასრ. კომიტეტის ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას დანიშნულ დროზე.

(2—2) პრეზიდიუმი.

კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია თფილისის

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს

სხდომა

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ამიერ-კავკასიის სეიმის შესახებ,
2) მოხსენება ნაციონალურ საბჭოებზე. (2—1)

„საქმის ხალხი“

ამიერ კავკასიის ბოლშევიკების კომედიანტები „საქმის ხალხათ“ გადაიქცენ და კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარი ს. გ. შაუმიანის სახით მესიათ გვევლინებიან. რუსეთის თვალგადაუწვდენელ აგრარიულ და ტიპიურ მიწათ მოქმედების სახელმწიფოში სოციალისტური წყობილება „დაამყარეს“ და ასეთი ურთიერთობის განმტკიცებას აქაც ცდილობენ. ამისათვის ისინი ქვესკნელიდან ძალებს იწვევენ და ამ ძალების საშუალებით ცდილობენ ლენინ-ტროცკისებურ სოციალიზმის განმტკიცებას.

ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ აღგვინიშნავს, რომ მეცნიერული სოციალიზმის მაღიარებელი სოციალდემოკრატიული პარტია პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას და სოციალისტური წყობილების დამყარებას მხოლოდ მაშინ მოითხოვს და მხოლოდ მაშინ ცდილობს მის პრაქტიკულათ განმტკიცებას, როცა საწარმოვო და საზოგადოებრივი ურთიერთობა განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა უტოპიაა და მისი დადებითათ დამყარების მაგიერ ანარქია და არევ-დარევა გვრჩება. პირობებისა და მდგომარეობის უარყოფა და მისი სოციალისტურათ პატარა ჯგუფის სურვილისამებრ გადაჭრა ბლანკისტობაა და სხვა არაფერი.

ფრიდრიხ ენგელსი ბლანკს შემდეგნაირათ ახასიათებდა: ბლანკი თავის პოლიტიკურ მოქმედებაში „საქმის კაცი“ იყო, იგი აგრეთვე განსაკუთრებული რწმენით იყო აღჭურვილი და მუდამ ეგონა, რომ პაწია, კარგათ შეკავშირებულ უმცირესობას შეუძლიან მოხერხებულ დროს წუთიერ გამარჯვებს წყალობით მასსა გაიყოლიოს და ამ გზით რევოლიუცია მოახდინოს. ამისდა მიხედვით ბლანკისტებს ყოველი რევოლიუცია უმცირესობის ნამოქმედრათ მიაჩნდათ და აქედან კი აუცილებლათ ერთი აზრის დასკვნა შეიძლებოდა: რევოლიუციის გამარჯვების დროს ფართო დემოკრატიის დიქტატურა კი არა, არამედ უმცირესობის, მთელი რევოლიუციონური კლასის გამარჯვება. ბატონობა კი არა, არამედ იმ პატარა ჯგუფის, რომელიც ამბოხებას სათავეში მოექცა და რომელიც თავს დიქტატორათ აცხადებს. ფრიდრიხ ენგელსის ბლანკისა და ბლანკისტების დახასიათება ზედ გამოჭრილია რუსეთის ბოლშევიკებზე და განსაკუთრებით კი ამიერ-კავკასიის შაუმიანზე და კონსორტებზე.

ბლანკისტურათ ირჯებოდენ რუსეთის განსვენებული „ნაროდოვოლცები“, რომლებიც მუდამ შეთქმულობას ახდენდენ „შეიარაღებული ძალით“ ძალა-უფლების რევოლიუციონერების მიერ ხელში ჩაგდებას, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ „ნაროდოვოლცების“ საუკეთესო მეთაური ა. ჟელიაბოვი გაცილებით მეტი სწორი პოლიტიკური ინსტიქტით იყო დაჯილდოვებული, ვიდრე ბოლშევიკების გამოჩენილი ლიდერი ლენინი და მისი მონაბერი შაუმიან-კუზნეცოვი. ა. ჟელიაბოვს კარგათ ესმოდა, რომ ყოველგვარ შეთქმულებისათვის „საზოგადოების“ თანაგრძნობა იყო საჭირო, მაგრამ ამიერ-კავკასიის ავანტიურისტი ამ ინსტიქტს სავსებით მოკლებულია და იგი სხვადასხვა ბნელი ძალების მეოხებით ცდილობს სახალხო კომისარების „მთავრობის“ განმტკიცებას და მით სოციალიზმის დამყარებას.

ვინ არ იცის, რომ ამიერ-კავკასიის საწარმოვო ურთიერთობა, საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება, კულტურული განვითარება მეტის-მეტათ დაბალ საფეხურზე იმყოფება და ბოლშევიკების სოციალისტურ წყობილებას არავითარი ნიადაგი არა აქვს. სხვა ერებზე ნურას ვიტყვით—გავიხსენოთ თუნდა იგივე თათრობა, საცა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა თითქმის უმრავლესობას ეკუთვნის, საცა საწარმოვო და კულტურული განვითარება თვით რუსეთთან შედარებითაც კი დიდათ ჩამორჩენილია, განა აქ შეიძლება შაუმიანმა, კუზნეცოვმა ლენინ-ტროცკის „სოციალიზმი“ განახორციელოს? ნუ თუ იგი ამიერ-კავკასიის ფართო დემოკრატიის ეკონომიურ და სუბიექტიურ მდგომარეობას შეეფერება? რომ არ შეეფერება, ეს ყველამ კარგათ იცის და თითონაც ღრმათ არიან დარწმუნებულნი, რომ საზოგადოების თანაგრძნობა მათკენ არ არის. მაგრამ ისინი მაინც ცდილობენ ასეთი მიმდევრები იშოვონ და მათი მეოხებით ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ. ეჭვს გარეშეა ამიერ-კავკასიაში სხვადასხვა ერის ნაძირალებში, ძველ მოხელეებში საკმარისათ იპოვნიან, რომლებიც რევოლიუციამდის არქი-რეაქციონერებათ ითვლებოდენ. აი ის ელემენტები, რომელზედაც აპირობენ შაუმიან-კუზნეცოვი გამაგრებას და რომლის მეოხებით ცდილობენ სოციალისტური წყობილების დამყარებას: მაგრამ ასეთი ელემენტები შედარებით ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ კლასებთან შედარებით უმნიშვნელოა. დიდმა უმრავლესობამ მათ ზურგი შეაქცია და მუშათა კლასი და რევოლიუციონური გლეხკაცობა მათ არ აყვებათ.

მიუხედავათ ამისა—ვიმეორებთ, შაუმიან-კუზნეცოვები „საქმის ხალხი“ გამოჩნდა და ფართო დემოკრატიას ავანტიურისაკენ მოუწოდებს. ვნახოთ, რას გააკეთებენ!

სეიმი და მისი დანიშნულება

მომავალ სეიმს რამდენიმე მხრიდან ესხმიან თავს და მოსპობას უპირებენ. მოწინააღმდეგეთა შორის ორი უმთავრესი ბანაკია. ერთია ადგილობრივ ნაციონალისტების, ხოლო მეორე ბოლშევიკების.

რა საბუთით უარყოფენ სეიმს ნაციონალისტები განსაკუთრებით კი ქართველი ნაციონალისტები, ეროვნულ დემოკრატებიდან დაწყებული ეგრეთ წოდებულ სოციალისტ-ფედერალისტებამდე.

ესენ ამბობენ: რევოლიუციის განვითარება ფედერალიზმის დროშის ქვეშ მიმდინარეობს, რუსეთი დანაწილდა მრავალ ერთეულებათ და ახლა ჯერი ამიერ-კავკასიაზე მიდგა, უნდა დანაწილდეს ეს კუთხეც ეროვნულ ერთეულებათ, თითეულმა ეროვნებამ ცალკე უნდა მოიწვიოს საკუთარი ეროვნული დამფუძნებელი კრება, ამ გზით დამყარდება ცალკე სახელმწიფოები და შემდეგ ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეუკავშირდებიან ერთმანეთს და შექმნიან ამიერ-კავკასიის ფედერალურ საბჭოს.

ასეთია ნაციონალისტების მარტივი და, პირველ შეხედვით, მომხიბლავი სქემა. ყოველი ერი ცალკე მოაწყობს თავის საქმეებს და შემდეგ, როგორც სწორი სწორს, თავისუფლათ შეუკავშირდება მეზობელ ერს, რომლის შემდეგ დამყარდება ბედნიერება და თხა და მგელი ერთად იძოვებს.

როცა რომელიმე სამოქმედო გეგმას ვაფასებთ, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ორი საზომით, სახელდობრ: რამდენათ შესაძლებელია ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება და რამდენათ სასარგებლოა ის მოძრაობისთვის საერთოდ.

ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ განვითარების ხანაში, რომლის დამახასიათებელია საქონლის წარმოება. ამით განსხვავდება ჩვენი დრო ეგრეთ წოდებულ ნატურალურ მეურნეობის ხანიდან, როცა ყოველი კუთხე დამოუკიდებელ საწარმოვო ერთეულს წარმოადგენდა და ნაკლებათ იყო დაინტერესებული მეორე კუთხის ცხოვრებით. დღეს ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია. საკმაოა, მაგალითად, ბაქოდან ნავთი არ მივიღოთ, ან ჩრდილოეთ კავკასიიდან პური, რომ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდეთ. გარდა ამისა, ცალკე ერების დამფუძნებელ კრების მოწვევა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამორკვეული და გადამიჯნული იქნება ამიერ კავკასიის თვითოეულ ერის ტერიტორია, ხოლო ვინ არ იცის, რომ ახლავე გადამიჯვნის დაწყება—ეს მოასწავებს ერთა შორის შეჯახების გამოწვევას. აკი „საქართველო“ იმუქრებოდა ამ რამდენიმე დღის უკან ბორჩალოს და ახალციხეს არავის დავუთმობთ და რეალურ ძალისთვის მიმართვა მოგვიხდებაო.

ცხადია, ჩვენებურ ნაციონალ-დემოკრატების და ფედერალისტების გზას რომ დავადგეთ, ამიერ კავკასიაში ეროვნებათა შორის ბრძოლა დაიწყება და ჩვენი კუთხეც სამოქალაქო ომის ასპარეზათ გადაიქცევა.

რატომ ებრძვიან სეიმს ბოლშევიკები? მათი უარყოფითი დამოკიდებულება სეიმთან აღნიშნულია მათს განცხადებაში, რომელიც სეიმის მეორე სხდომაზე იქნა გამოქვეყნებული.

ჩვენ არ ვიცით რამდენათ გულწრფელია ბოლშევიკების განცხადება, რადგან ამ განცხადების მესამე მუხლი სეიმის გახსნაში ხედავს ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფვას და ცალკე სახელმწიფოს დაარსებას და ჩვენ ვერ გაგვიგია კიდეც რომ ცალკე სახელმწიფოთ გამოცხადდეს ამიერ კავკასია, ბოლშევიკებს რა ეთქმის ამის საწინააღმდეგო, როცა მათ თითონ საქვეყნოთ აღიარეს ერთა თვითგამორკვევის უფლება სრულს გამოცალკევებამდე.

თუ თავს დავანებებთ განცხადების ამ დემაგოგიურ და პროვოკაციულ მუხლს, დაგვრჩება ერთი მთავარი მოსაზრება, რომელიც დღევანდელ ბოლშევიკურ პროგრამიდან გამომდინარეობს—ეს არის სეიმის დაპირდაპირება საბჭოთა ძალაუფლებისათვის, სეიმის უარყოფა „გლეხთა და მუშათა მთავრობის“ სახელით. ერთის სიტყვით, სეიმი უნდა დაინგრეს, რადგან ის „მუშ. და გლეხ.“ მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც არა ერთხელ გვითქვამს ჩვენ მუშათა საბჭოების მთავრობის წინააღმდეგი ვართ, რადგან სოციალიზმისთვის დღეს ნიადაგი არ არის მომზადებული. გარდა ამისა, როგორც ეს სამართლიანათ აღნიშნა სეიმის სხდომაზე ამხ. ნ. ჟორდანიამ, მუშათა საბჭოები არსებობენ მარტო თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში და ქალაქ ბათუმში და ბაქოში და შეუძლებელია მთელი ამიერ-კავკასია მართონ მხოლოდ ორი გუბერნიის საბჭოებმა.

მაშასადამე, სეიმი უნდა არსებობდეს, მიუხედავათ სოციალისტ-ფედერალისტების და ბოლშევიკების ნება-სურვილებისა. მან უპირველეს ყოვლისა უნდა შექმნას ერთი ცენტრი მთელი ამიერ კავკასიისთვის, განახორციელოს ის რეფორმები, რომელსაც მთელი კუთხისთვის აქვს მნიშვნელობა. ასეთია მიწის საკითხი და ზავი, მაგარი მთავრობის შექმნა და ეროვნული გადამიჯვნა.

მიიღებს თუ არა ეს სეიმი ამიერ-კავკასიისათვის დამფუძნებელ კრების ხასიათს? ვინც სეიმის მიერ მიღებული მენშევიკური რეზოლიუცია წაიკითხა მას ეცოდინება, რომ სეიმი მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე იარსებებს და ადგილობრივ საკითხებში საკანონმდებლო ფუნქციებს შეასრულებს. ჩვენ არ ვართ წინასწარმეტყველები და ამიტომ ვერ ვიტყვით, თუ როდის შეიკრიბება სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრება, მაგრამ თუ შექმნილ პირობების გამო რუსეთის დამფუძნებელ კრების იდეია მოკვდა, შესაძლებელია სეიმი დამფუძნებელ კრებათ გადაიქცეს. ეს ვიმეორებთ შორეულ მომავლის საქმეა. ხოლო დღეს მხოლოდ საყოველთაოთ ცნობილ ორგანოს შეუძლია წესრიგი დაამყაროს კავკასიაში და ხანგრძლივ ანარქიისაგან იხსნას ის.

ამიტომ ჩვენი ვალია სეიმის მუშაობას და მისი ავტორიტეტის ამაღლებას ხელი შეუწყოთ და მით ქვეყანა არევ-დარევისა და სამოქალაქო ომისაგან ვიხსნათ.

პრესა

„სახალხო საქმე“ დიდ მოუსვენრობას იჩენს ეროვნულ საბჭოებისადმი. მას დააფიქრდა, რომ დღეს არსებული ეროვნული საბჭოები შექმნილი არიან კულტურულ ფუნქციებისათვის და სეიმს უპირდაპირებს მათ. ის სწერს:

„სეიმიც დღევანდელს პირობებში საჭიროა და უფრო მეტად ეროვნული საბჭოები“. ასე სწერს გუშინდელი „სახალხო“. თუმცა იგივე „სახალხო“ 24 იანვრის ნომერში სწერდა: „თავის მოტყუილებაა იმის ფიქრი, რომ ვითომც სეიმი გამოხატავდეს კავკასიის ხალხის ნება-სურვილებსო“ და რაკი „სახალხო“-ს აზრით „სეიმი არ გამოხატავს კავკასიის ხალხის სურვილებს, მაგრამ მაინც „საჭიროა“, ამიტომ „ეროვნულმა საბჭოებმა კი არ უნდა დაკარგონ სახელმწიფოებრივი ფუნქციები, თუ მათ ასეთი მოეპოებათ, არამედ შეიძინონ, შეიმოსონ ამ უფლებით, თუ იგი მათ აქვთ“-ო.

თავი დავანებოთ პრინციპიალურ დავას სახელმწიფოებრივ უფლებების შესახებ და ვკითხოთ „სახალხოს“: „რევოლიუციონური“ გზით უნდა ჩაიგდონ ეროვნულმა საბჭოებმა უფლებრივი ფუნქციები, თუ რომელიმე წყაროს უნდა დაეყრდნენ?

* * *

საოლქო ცენტრის ორგანო „იზვესტია“ სეიმის შესახებ სწერს:

„უკანასკნელ დღეების ამბებმა ნათელყვეს, რომ მარტო ცენტრის ავტორიტეტი საკმაო არ არის: კომისარიატის მნიშვნელობა დაეცა, გაჩნდენ და გაძლიერება იწყეს ნაციონალისტურმა ორგანიზაციებმა, რომელნიც ნაციონალურ განხეთქილების საშიშროებას ატარებენ.

ადგილობრივ დემოკრატიის მისწრაფება, რომ აქ მაინც გაიჩინოს ყველასაგან ცნობილი ორგანო გამოიხატა ამიერ-კავკასიის სეიმის შექმნაში.

ამავე დროს საბჭოების საოლქო ცენტრიც თავის ალაგას რჩება და იბადება კითხვა, როგორი იქნება განწყობილება სეიმსა და ამ ცენტრს შორისო“. გაზეთი აღნიშნავს, რომ საჭიროა შეთანხმებული მოქმედება და დაასკვნის:

„მოქმედების შეუთანხმებლათ და საერთო ცენტრის კონტროლის გაუქმებით სეიმი ჰაერში დარჩება გამოკიდებულიო“.

სამოქალაქო ომი

სამხრეთ-აღმოსავლეთის მთავრობის ოფიციალური ცნობით, რომელიც 23 იანვრის თარიღით არის გამოგზავნილი კავკავიდან მდგომარეობა ასეთია:

სამხრეთ-აღმოსავლეთის მთავრობა დონის როსტოვში გადადის.

ბოლშევიკების ბელადებმა მიზნათ დაისახეს ჩრდილო კავკასიის ხელში ჩაგდება. ამ ჟამათ ბოლშევიკები ეკატერინოდარზე გასალაშქრებლათ ემზადებიან.

ნოვოროსიისკში თავმოყრილი არიან წითელ გვარდიელები და მატროსები, რიცხვით 500-მდე კაცი არტილერიით და ტყვიისმფრქვევლებით. აქვე არიან აგრეთვე რუსეთისაკენ, სახლში მიმავალი ჯარისკაცები. ეს ჯარისკაცები დააჯერეს, რომ მათ შეუძლიათ გზის გაკაფვა მხოლოდ ბრძოლით და უპირველესად კი მათ უნდა აიღონ ეკატერინოდარი.

ამ ჯარისკაცებში სრულიადაც არ არის ბრძოლის სულიერი განწყობილება. სამი ეშელონი უკვე დაიძრა ნოვოროსიისკიდან ეკატერინოდარისაკენ.

ენემის „რაზიეზდთან“ ბოლშევიკების რაზმს შეხვდენ ყაზახები. ყაზახებმა აქ ბოლშევიკები დაამარცხეს. აქ ბოლშევიკების მხრიდან ბრძოლის ველზე დარჩა მოკლული რამდენიმე ათი კაცი და სამი საველე ზარბაზანი. ბოლშევიკები გაიქცენ. მათ დაედევნენ ყაზახები.

ეკატერინოდარზე იერიშის მისატანათ სად. ტიხორეცკაიას მხრიდანაც მოელიან სამ ეშელონს. ეკატერინოდარის წინააღმდეგ წასვლას აპირებს აგრეთვე მე-39 დივიზია.

მთელი ყაზახობა ფეხზეა დამდგარი მხარის დასაცავათ. უსტ-ლაბინის ყაზახები იარაღსა ჰყრიან გამვლელ ჯარისკაცებს. ყაზახები საზოგადოთ მაგრათ არიან. უნდა მოველოდეთ, რომ ყაზახობა თავდამსხმელთ სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს, ვინაიდან დიდი უმრავლესობა ყაზახობისა ადგილობრივი მთავრობის მხარეზეა.

დონის ოლქში მდგომარეობა გამოურკვეველია. უკანასკნელი ცნობები ასეთია: პოლკოვნიკ ჩერნეცოვის რაზმი სადგურ გლუბოკაიასკენ წავიდა, სადაც გამაგრებული არიან ბოლშევიკები, მაგრამ ჩერნეცოვის რაზმს ზურგიდან შემოუარა გოლუბევმა. ბრძოლის დროს ჩერნეცოვი ფეხში დაიჭრა და ტყვეთ წაიყვანეს ბოლშევიკებმა, მაგრამ ჩერნეცოვის მოადგილის ხელმძღვანელობით აქ მაინც დაამარცხეს ბოლშევიკები და სად. გლუბოკაიადან ისინი განდევნეს. ბოლშევიკების ძალებმა აქედან ჩრდილოეთით დაიქანეს. პოლკოვნიკი ჩერნეცოვი ტყვეობიდან გამოიქცა.

დამტკიცებულია, რომ ყაზახების წინააღმდეგ იბრძვიან წითელი გვარდიელები, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში შეხვდებით ავსტრიელ-გერმანელ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც გერმანელ ოფიცერთა ხელმძღვანელობით იბრძვიან.

სხვა რაიონებში საყურადღებო არაფერი მომხდარა. მოხალისენი მრავლათ ეწერებიან პარტიზანულ რაზმებში.

ცნობებია, რომ ურალის და ასტრახანის ყაზახებსა და ბოლშევიკებს შორის

ბრძოლაა ცარიცინის მიდამოებში, ღუტოვის რაზმი ებრძვის ბოლშევიკებს სამარის რაიონში. ამ ადგილებში წარმატება ბრძოლაში ყაზახების მხარეზეა. დაწვრილებითი ცნობები არ გვაქვს.

ადგილიდან ცნობები გვაქვს, რომ ყირიმის მუსულმანები ჩვენ კავშირში შემოვიდენ და ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედებენ.

თათართა ჯარების ნაწილებმა ევპატორიაში ხელთ იგდეს აეროპლანები და არტილერია. მათ აზრათ აქვთ სევასტოპოლი გაანთავისუფლონ, მოსწყვიტონ სხვა ქალაქებს. იალტაში და ფეოდოსიაში ბოლშევიკები დამარცხდენ.

პერეიასლავი და ბენდერი დაიკავეს გენერალ შჩერბაჩევის ძლიერმა რაზმებმა და რუმინელებმა.

გუშინ, 26 იანვარს ნაშუადღევის სამ საათზე მივიღეთ პირდაპირი მავთულით ნალაპარაკევის მასალა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის კანტემიროვისა (თფილისი) სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის წარმომადგენელს სკრინსკის (როსტოვი) შორის. ეს ნალაპარაკევი შეიცავს იმ ბრძოლის ცალკე ეპიზოდების აღწერას, რომელიც ამ ჟამათ დონის, ყუბანის ოლქებში ჩ საერთოთ ჩრდ. კავ. ბოლშევიკების მომხრე და მის მოწინააღმდეგე ჯარებს შორის სწარმოებს სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის წარმომადგენელი დარდანელის აღების შესახებ იტყობინება, რომ რასტოვშიაც გავრცელდა ასეთი ხმები, რომლის შესამოწმებლათ ინგლისის ელჩი ლონდონში შეეკითხაო. მასალის მიღების დროს გაზეთი უკვე აწყობილი იყო. დაწვრილებით ცნობებს ხვალ მოვათავსებთ.

მიმავალი ეშელონები

სად. აგტაგლიაზე 20 იანვრიდან გაჩერებული იყო ფრონტიდან რუსეთისაკენ მიმავალი 11 ეშელონი. განჯა-შამხორში მომხდარი ამბების შემდეგ ეს ჯარები წასვლაზე ყოყმანობდენ. 24 იანვარს კი ამ ეშელონებს თან გაჰყვა მუსულმანთა დელეგაცია ჩ გაუდგენ გზას. გაემგზავრა ყაზახთა ერთი ეშელონი, რომელმაც საღამოს 6 ს. მშვიდობიანათ გაიარა განჯა. ნაშუადღევის 2 საათზე ათი ეშელონი გაემგზავრა არტილერიით. ამ ეშელონების წინ წავიდა მუსულმანთა დელეგაცია. საღამოს 6 საათზე ეშელონები სად. ფოილოში მივიდენ. აქ მატარებლები ოდნავ ერთმანეთს დაეჯახენ და დაიმტრა ოთხი ვაგონი. 4 ჯარისკაცი მსუბუქათ დაშავდა. 25 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე ეშელონებმა მშვიდობიანათ გაიარეს სად. კოვლიარი.

კავკასიის ფრონტი

დროებითი ზავის პირობების დარღვევას ადგილი არ ჰქონია ფრონტზე 23 იანვრის თარიღით გამოგზავნილი მოხსენების თანახმად.

24 იანვრის ცნობის თანახმად „ჩორსის“ საეტაპო პუნქტი და სასურსათო საწყობი ჩელიკში გარშემორტყმულია შეიარაღებული ქურთების მიერ.

დერსიმის ქურთების ერთმა მეთაურთაგანმა სეიდ-ალი კაზან-ბეგმა დაიკავა სოფელი სანსი, რომელიც მდებარეობს 40 ვერსის მანძილზე მამახათუნიდან სამხრეთ-დასავლეთით.

ხანის რაიონში ქურთებთან ბრძოლა სწარმოებს. ჩვენის მხრით მოჰკლეს ერთი ექიმი და ორი ოფიცერი.

კავკასიის ჯარების საბჭო აუწყებს ჯარების ყველა ნაწილებს, კომიტეტებს, გარნიზონებს და სხვ., რომ არც ერთი მოწერილობა ან განკარგულება შაუმიანის ხელ-მოწერილი არ იქნას ასრულებული. საფოსტო დაწესებულებებმა კი, თანახმათ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, არ უნდა მიიღონ არავითარი განკარგულება აპარატით გადასაცემათ, რომელიც ხელმოწერილი იქნება შაუმიანის მიერ.

ოსმალთა ავაზაკები 20 იანვარს შავი ზღვის პირად მდებარე სოფ. არაკლისთან თავს დაესხენ ნავებით მისულ ჩვენს ჯარისკაცებს და მატროსებს. ეს სოფელი 28 ვერსის მანძილზე მდებარეობს ტრაპიზონიდან ბათუმის გზაზე. ნავებით იყვნენ მისულნი იქ არსებული საეროპო სავავათმყოფოს ქონების გამოსაზიდათ. ამის შესახებ ბათუმის „დ. ს.“ მოთავსებულია იქიდან ჩამოსული აფიცრის ნაამბობი:

როცა ნაპირზე ნავით მიადგა, ჩვენი მხრიდან 8 შეიარაღებული პირი, მათ შემოეგებება ბერძენი ქალი და უთხრა, რომ ესეც არის ოსმალთა ავაზაკებმა მოჰკლეს კამენდანტი კაპიტანი კოლომინიო. მისი თქმით სოფელს გარშემო ერტყა 200—300 შეიარაღებული კაცი. ამ დროს ჩვენებს სროლა აუტეხეს. ჩვენებმა უკან დაიხიეს და სროლითვე უპასუხეს. სროლამ ნახევარი საათი გასტანა. ვინაიდან ჩვენს რაზმს გამოსავალი არ ჰქონდა, იძულებული იყო დანებებოდა. ავაზაკებმა მოითხოვეს ფული, ტანისამოსი, იარაღი. ნოსკოვს წაართვეს სამასი მანეთი ფულით და თოფი, კურლიჩენკოს—180 მ. და თოფი, ბიბიკს—წაღები და თოფი, მოტორიანი ნავის „ბაკლანის“ მატროსს ვ. გაბუნიას წაართვეს თოფი, თოფი წაართვეს აგრეთვე ლეონტიევს. ამ დროს მოვიდა „კატერი“ წითელ გვარდიელებით, რომელმაც ტყვიის მფრქვეველებიდან ავაზაკებს სროლა დაუწყო. ავაზაკები გაიქცენ.

როგორც ვიცით, ამიერ კავკასიის კომისარიატი შეეკითხა ოსმალეთის მთავრობას ასეთი თავდასხმების შესახებ. პასუხათ მიიღო: თავდასხმებს ახდენენ ავაზაკთა ბრბოები, რომელთაც ოსმალეთის მთავრობაც სდევნისო.

ჩრდილო კავკასიის ამბები

კავკავიდან, 24 იანვრის თარიღით გამოგზავნილი, შემდეგი ცნობა მოვიდა: საქართველოს სამხედრო გზა წინანდელ მდგომარეობაშია. საჭიროა ახლო ხანში მოეწყოს დასაცავათ შერეული რაზმი. ეს გადაწყდა ინგუშების, ოსების და ყაზახთა მთავრობის წარმომადგენელთა შეერთებულ კრებაზე. რკინის გზის მოძრაობა კავკავსა და ტიხორეცკაიას შორის არის. ყოველ დღე გადის კავკავიდან ერთი სამგზავრო და ერთიც საბარგო მატარებელი. ბატაისკსა და ტიხორეცკაიას შუა ლიანდაგი აყრილია, ვინაიდან მე-39 დივიზია მივიდა ტიხორეცკაიაში და ალბათ, ყაზახთა მთავრობამ იფიქრა, როსტოვისკენ მიდისო. ბესლანიდან გროზნისაკენ გზა აყრილია. აყრილია აგრეთვე ლიანდაგი სად. პროხლადნისა და კარაბულახს შუა. მდ. კლემბეკავზე ხიდი აყრილია. ცნობა იმის შესახებ, თითქოს ქალაქი გროზნა ცეცხლის ალში იყოს გახვეული, მართალი არ არის. სამრეწველო რაიონები იწვის. ხმები იმის შესახებ, რომ ვედენის ციხე ჩეჩნებმა აიღესო, არის გავრცელებული, მაგრამ ჯერ არ შეგვიმოწმებია. ესეც არის ცნობა მოვიდა, რომ ბოლშევიკებმა პიატიგორსკი დაიკავესო. თერგის ოლქის აღმოსავლეთის ნაწილს არავითარი კავშირი არ აქვს კავკავთან. დასავლეთ ნაწილთან ასე თუ ისე კავშირი გვაქვს. როგორც იქიდან მოსული ცნობებიდან სჩანს, ბოლშევიკები სხვადასხვა პუნქტებში ძალებს აგროვებენ. გროზნიდან ცნობები არ არის. სუნჟენის მიმართულებით ყაზახები და ინგუშები ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ ჩასაფრებული არიან სანგრებში. ამ ჟამათ მათ შორის ჩუმი შერიგებაა. ჩეჩნებში სიწყნარეა ამ ჟამათ.

დამფუძნებელი კრება

(გაგრძელება).

სკვორცოვი (ბოლშევიკი) აღნიშნავს, რომ ფრაქციის დეკლარაცია უკვე წაიკითხეს, ეს არის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დეკლარაცია. შემდეგ ის ეკამათება წერეთელს და ამბობს —მარქსისტმა არ იცის საზოგადოებრივი ნება, არამედ იცის მხოლოდ გაბატონებულ და დამონებულ ხალხთა კლასები. რა განსხვავებაა დამფუძნებელ კრებასა და საბჭოებ შორის. აი რა: საბჭოები არის დამონებულ კლასთა ნების გამოხატულება, ეს კლასი წარმოადგენს უმრავლესობას და ეს უმრავლესობა მიდის ექსპლოატატორებთან და ეუბნება—მე ვქმნი არა საზოგადო ხალხის ნებას, რომელიც არ არსებობს, არამედ მცხოვრებთა უმრავლესობის გლეხების და მუშების. ჩვენ არ ვფარავთ ჩვენი ნების და ძალა-უფლების წყაროს.

სკვორცოვი—(მემარცხენე ს.-რევოლ.(კითხულობს მემარცხენე ს.-რევოლიუციონერების დეკლარაციას, რომლითაც იგინი კატეგორიულათ მოითხოვენ ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდეს და რუსეთში ფედერატიული რესპუბლიკა დამყარდეს. დამფ. კრების ვალია, განამტკიცოს რევოლ. მიერ მოპოვებული უფლებები, ამიტომ ის ვერ შეეხება საბჭოების მთავრობას. კერძოთ დამფუძნებელ კრებამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ დაუყონებლივ განხორციელებულ იქნას მიწების სოციალიზაცია, შეიმუშაოს მუშათა კონტროლის, ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხი და სხვა. ზავის შესახებ დამფუძნებელ კრებამ მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოებს. დამფუძნებელ კრებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს მასა და საბჭოებს შუა მთავრობისათვის ბრძოლას. დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ უნდა გამოაქვეყნოს რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა, შეიმუშაოს კონსტიტუცია მუდმივ ფედერატიულ მთავრობის შესახებ და გამოიმუშავოს რუსეთის სოციალურ გარდაქმნის შესახებ გეგმა.

სკვორცოვის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღიურ წესრიგის შესახებ საკითხს. წარმოადგინეს ორი წინადადება: ბოლშევიკების—შეიტანონ დღიურ წესრიგში მხოლოდ მთავრობის შესახებ საკითხი და მეორე—ს.-რევოლიუციონერების. პირველმა წინადადებამ მიიღო 146 ხმა, მეორემ—237. როცა კენჭის ყრის შედეგი გამოირკვა, ბოლშევიკების მხრით კრესტინსკიმ და მემარცხენე ს.-რევოლიუციონერებიდან კარელინმა მოითხოვეს კრების შეწყვეტა. კრება შესწყდა ღამის 10 საათზე ნახევარი საათით, მაგრამ განაახლეს მხოლოდ ღამის პირველ საათზე.

კრების განახლებისას ბოლშევიკები დარბაზში არ შემოვიდენ. გამოირკვა, რომ კრების შეწყვეტის დროს ბოლშევიკებმა დაადგინეს დასტოვონ კრების დარბაზი. სიტყვა ეძლევა სკობელევს.

სკობელევი კითხულობს დამფუძნებელ კრების ორი წევრის განცხადებას 5 იანვარს ქუჩებში მანიფესტანტების დახოცვის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

„ამით ვაცხადებ, რომ 5 იანვარს დღის 4 საათზე პანტელეიმონის ქუჩის კუთხეში მე თვითონ ვნახე, რომ წითელ გვარდიელთა რამდენიმე ჯგუფი თოფებს ესროდა უიარაღო ხალხს—მუშებს, ქალებს და ბავშვებს, რომლებიც წყნარათ მიდიოდნენ თავრიდის სასახლისკენ, რომ შეეტყობინებიათ თავიანთი გაჭირება. წითელგვარდიელები წინასწარ გაუფრთხილებლათ პირდაპირ ესროდენ ხალხს. მე ვნახე როგორ მიჰქონდათ დაჭრილები, ვნახე ერთი ჯარისკაცი, ორი მუშა და ერთი ქალი. ყველა ამის მოწმეა ჯარის შორის ნედრიგაილოვი, რომელიც ჩემთან ერთათ მოდიოდა. ხელს აწერს დამფუძნებელ კრების ორი წევრი.

განცხადების წაკითხვის შემდეგ სკობელევი წინადადებს იძლევა აირჩიონ სპეციალური კომისია საქმის გამოსარკვევათ და დამნაშავეების დასასჯელათ. ამ წინადადებას მხარს უჭერს დამფუძნებელ კრების წევრი მუშა ანტიპოვი. წინადადებას ღებულობენ.

შემდეგ ამისა კრება შეუდგა ზავის შესახებ საკითხის განხილვას.

ტიმოფეევი. (ს.-რევოლ.) ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების მოქმედებას ზავის საკითხის გადასაწყვეტათ საფუძვლათ უნდა დაედვას სამი იდეია: არც გამარჯვებულთა და არც დამარცხებულთა ზავის ფორმულა, სტოკჰოლმის კონფერენციის იდეია და ბოლოს პარიზის კონფერენციის იდეია. რომ ზავის ჩამოსაგდებათ ყველა ეს საშუალებები რეალურათ დარჩეს საჭიროა მთელი დემოკრატიის ერთი ძლიერი ფრონტის შექმნა. რომ რუსეთის რევოლიუცია ისე მთლიანი იყოს, როგორც წინათ, შეიძლება ზავი კიდეც ჩამოგვეგდო ამ დენ ხანს. დამფუძნებელ კრების ვალია თავის საზღვრებში გაასწოროს რუსეთის დემოკრატიის ფრონტი.

ამისთვის უპირველეს ყოვლისა ბოლო უნდა მოეღოს სამოქალაქო ომს. ცენტრალურმა სახელმწიფოებმა უნდა იცოდენ, რომ ზავს ჩვენ ვკრავთ მასთან იმდენათ, რამდენათაც ეს იქნება საყოველთაო ზავის შეკვრისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი. დამფუძნებელმა კრებამ დღესვე უნდა მიიღოს მოკავშირეთადმი მიმართვა იმის შესახებ, რომ ერთათ გამოარკვიონ ომის მიზეზები და ყოველივე ღონე იხმარონ საყოველთაო ზავის ჩამოსაგდებათ, რუსეთის რევოლიუციის საფუძველზე. გარდა ამისა დამფუძნებელმა კრებამ უნდა იკისროს სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევა. ეს კონფერენცია, რომელიც შეიძლება პეტროგრადშიაც იქნას მოწვეული, თავის მფარველობის ქვეშ უნდა მიიღოს დამფუძნებელმა კრებამ. დაბოლოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა აირჩიოს დელეგაცია სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლათ და ამის შესახებ საჭირო ზომების მისაღებათ.

(დასასრული იქნება).

მიტინგი მთავარ სახელოსნოში

25 იანვარს ნაშვადღევს მთავარ სახელოსნოში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისა. ილაპარაკეს სხვადასხვა მიმართულების ორატორებმა. სტეფან შაუმიანმა თავის სიტყვაში მოუწოდა დამსწრეთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კარლო ჩხეიძემ. მის გამოსვლას დამსწრენი დიდი აღფრთოვანებითა და ოვაციებით შეხვდენ. ორატორი შეეხო უმთავრესად რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას საერთოდ. მუშებმა სთხოვეს კარლოს კიდევ ეწვიოს მათ და ელაპარაკოს დღევანდელი მომენტის შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ხმის დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა მენშევიკების რეზოლიუცია.

ახალი ამბები

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, გაიგო-რა გაზეთ „კავკ. რაბოჩი“-დან ცნობა ბ-5 სტ. გ. შაუმიანის ამიერ-კავკასიის დროებით კომისარათ დანიშვნის შესახებ, გადასწყვიტა: წინადადება მისცეს შაუმიანსა და კუზნეცოვს 24 საათის განმავლობაში დასტოვონ ამიერ-კავკასიის საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული პირები დაპატიმრებული იქნებიან. მილიციის უფროსმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, აღნიშნული პირები ვერც საკუთარ ბინებზე და ვერც კოჩუბეის ქუჩაზე გახსნილ ბიუროში ვერ ნახა.

◆ როსტოვიდან პირდაპირი მავთულით გუშინ, 26 იანვარს შემდეგი ცნობები მივიღეთ: როსტოვის ქართველებმა გადასწყვიტეს შეადგინონ კერძო რაზმი, შემოსონ და შეაიარაღონ იგი და თფილისში გამოგზავნონ ფრონტის და რევოლიუციის დასაცავათ. დონის ოლქში და როსტოვში ძალა-უფლება გაერთიანებულ მთავრობის ხელშია, რომელიც შემდგარია პარიტეტულ საფუძველზე ყაზახთა და სოფლის მცხოვრებთა წარმომადგენლებისაგან. ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შესახებ გავრცელებული ხმები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

◆ ბეჭდვითი საქმის პროფესიონალურ კავშირის მუშათა ნაწილობრივი გაფიცვა კარგათ მიმდინარეობს. მეპატრონეები იძულებულნი ხდებიან მიიღონ მუშათა ტარიფი. მეპატრონეების რიცხვი, რომლებიც იღებენ ტარიფს, დღითი დღე მატულობს. გაფიცვა გრძელდება შემდეგ წარმოებებში: სტამბებში—მარტიროსიანცის, ციციანოვის („ქართლი“), ლევენშტეინის („კულტურა“), ვიტენზონის, ბოლქვაძის („შრომა“), პიტნავას („პროსვეშჩენიე“), თარუმოვის, „ეკონომიის“ და გაზ. „აიასტანი“-ს; სამკინძველოებში—მალხასიანცის, გალაის, ბანანცის, პაპულოვის, პარსეგოვის, ქურდიანის, ფილდშტეინის, სარიბეგოვის და ლიტოგრაფიებში—მესხიევის, ბიხოვის, შახბაზიანცის, დემუროვის და თფილისის აბსერვატორიასთან არსებულ ლიტოგრაფიაში. გაფიცულთა საერთო რიცხვი 165 კაცს უდრის. თუმცა გაფიცვა მწყობრათ მიდის, მაგრამ სტამბა „კულტურაში“ აღმოჩნდა 4 შტრეიკბრეხერი ასოთამწყობნი: ალექსანდრე ვალეტოვი, რაფიელ მემიაკინი, პინკუსი შტრინკოვსკი და მბეჭდავი პეტრე გუბკინი. დახურულ კარებში ისინი განაგრძობდენ პირველ და მეორე დღეს მუშაობას. შემდეგ დღეს ვერაფერი გაიგეს, რადგანაც სტამბის პატრონმა ლევენშტეინმა გაფიცვის კომიტეტს კარები არ გაუღო. 28 იანვარს, დილის 10 საათზე მოხდება გაფიცულთა და არა-გაფიცულთა საერთო კრება გაფიცვის შესახებ მოხსენების მოსასმენათ და გაფიცულთათვის დახმარების რაოდენობის გამოსარკვევათ. კრება მოხდება შტაბის სასადილოს ბინაზე (სასახლის ქ., № 7, მარცხნივ ეზოში). ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

◆ თფ. საშ. კულტურ.-ტეხნიკ. სასწავლებლის პედაგოგ. საბჭო აცხადებს მოწაფეთა საყურადღებოთ, რომ მეცადინეობა სასწავლებელში დაიწყო 20 იანვარს და მობილიზაციის გამო სწავლა არ შესწყდება, რადგანაც განზრახულია ამ სასწავლებლიდან გაწვეულ მოწაფეთაგან შესდგეს ერთი ინტერნაციონალური ბატალიონი; მოწაფეებს შუადღემდე ექნებათ სამხედრო ვარჯიშობა: საღამოობით კი გაგრძელდება ჩვეულებრივი სწავლა სასწავლებელში.

◆ კავკასიის სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის („სოგორის“) წარმომადგენლები ჩრდილო კავკასიის ქალაქთა ყრილობაზე ავდეევი და ფილიპეევი იტყობინებიან: „გავეცანით რა ჩრდილო კავკასიის მდგომარეობის საქმეს საჭიროთ ვსცნობთ ქონებათა გამგებლობა ჩრდილო კავკასიაში გადაეცეს ეხლა დაარსებულ ჩრდილო-კავკასიის „სოგორს“. კომიტეტი ეკატერინოდარშია. შეატყობინეთ ეს ყველა ქალაქებს. ლიკვიდაცია კომიტეტის ჩვენებით მოხდება. გამოგზავნეთ დაწვრილებითი სია „სოგორის“ დაწესებულებათა ჩრდილო კავკასიაში.“

◆ 26 იანვარს შესრულდა სამი წელიწადი მგოსან აკაკის გარდაცვალების დღიდან. ამის გამო კვირას, 28 იანვ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება განსვენებულის სულის მოსახსენიებლათ მამადავითის ეკლესიაში გადაიხდის წირვასა და პანაშვიდს. წირვა დაიწყება დილის 10 ნახ. საათზე. პანაშვიდი იქნება წირვის შემდეგ.

◆ 19 იანვარს თავის ძმის, დომენტი მელიას ბინიდან გავიდა ნერვებით ავათმყოფი ბეგლარ მელია და მას შემდეგ არ დაბრუნებულა. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, ვთხოვთ დაუყონებლივ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თფილისი, დომენტი მელია, საბალოსნო სკოლა, მუშტაითის შეს. № 4.

◆ 10 იანვარს დილის ცხრის ნახევარ საათზე ვერის დაღმართზე, ცირკის ახლოს, წითელი ჯვრის ავტომობილმა გაიტანა 65 წლის მოხუცი დავით გაბრიელისძე გურგენიძე. ვთხოვთ ამ შემთხვევის დამსწრეთ გვაცნობონ თავიანთი ადრესი შემდეგი მისამართით: ჩერქეზოვის ქუჩა, № 133. პლატონ გურგენიძეს.

◆ ადამიანის დაკარგვა. მესამე კვირაა, რაც სახლიდან წავიდა და არ დაბრუნებულა იასონ სანოს ძე მეტრეველი, 27 წლისა, ნიშნები: მაღალი, ჩოფურა, რიჟა, მარჯვენა ფეხი გაფუჭებული აქვს; ლურჯი ხალათი აცვია, შავი ტუჟურკა და ზედ შინელი, ვსთხოვთ, თუ ვინმემ სადმე ნახოს, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: მეთერთმეტე უბანი ბუფერნი შესახვევი, საკუთარი სახლი, კატო მეტრეველი.

◆ ვიპოვნეთ სახაზინო თეატრის წინ პორტფელი, რომელშიაც აღმოჩნდა ფული 37 მან. 50 კ. და სხვადასხვა ქაღალდები. პატრონს შეუძლია მოიკითხოს შემდეგის მისამართით: საპიორნი ქუჩა, მე-5 ქართული პოლკი, მე-8 როტა, კოსტა მაქსიმეს ძე ნანიტაშვილი.

◆ ფონდი. „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ მივიღეთ პლატონ ხუციშვილისაგან 17 მან. 75 კაპ.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია მეოთხე რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. ამხ. კ. ჩხეიძე გააკეთებს მოხსენებას ამიერ-კავკასიის ს.-დ. ორგანიზაციათა ყრილობის განსახილველ კითხვების შესახებ: 1) სეიმი და მისი დანიშნულება, 2) ზავის საკითხი. მოხსენების შემდეგ აირჩევენ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებს. ამის შემდეგ სასურსათო კომიტეტის ინსტრუქტორი გააკეთებს მოხსენებას ბინის კომიტეტების შესახებ და განხილულ იქნება მორიგი კითხვები. კრებაზე შესვლა შეიძლება მხოლოდ საწევრო ბარათებით.

— კვირას, 28 იანვარს დილის 10 საათზე შესდგება საერთო კრება ტყავეულებზე მომუშავეთა ქ. თფილისში მიხაილოვის ქუჩა № 91 ვერის პოლიტიკურ კლუბის დარბაზში, რადგანაც აუცილებელი კითხვები არის გასარჩევი გამგეობა სთხოვს კავშირის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ.

— ხვალ, საღამოს 5 ს., ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში (ანასტასიევის ქ. № 22) ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრი ამხ. მილოვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „დღევანდელი რევოლიუციის ხასიათი“.

ქუთაისის ამბები

პროვოკაცია ჯარში.

20 იანვარს, ქუთაისში საღამოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების შეერთებული კრება იყო. ამ დროს გაისმის სროლა ბაზარში. არავინ იცის თუ რაშია საქმე. ამ დროს ბრუნდებიან აღმასრულებელი კომიტეტიდან წასული პირები და ამბობენ, რომ ქალაქში შეიარაღებული ჯარია გამოსული. ჯარს ალყა შემოურტყამს თეატრისთვის, ცირკისთვის, შეუკრავთ ხიდეები და გამვლელ-გამომვლელებს ჩხრეკავენ, აგრეთვე დადიან დუქნებში და იარაღს ართმევენ არასაიმედო პირებსო. ამ დროს განმავლობაში ქალაქში სროლა თანდათან ძლიერდება, ეს ხალხში იწვევს შიშს და მთელ არევდარევას, მდგომარეობა ისე აირ-დაირია, რომ კრების გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა, კრება გადაიდო და წავიდენ პოლკის ჯარისკაცებთან ამბის გასაგებათ, თუ რისთვის გამოვიდა ჯარი შეიარაღებული, როდესაც მისთვის განკარგულება არავის მიუცია.

სროლა და არეულობა, რამაც მთელი ქალაქის მცხოვრებნი დააფრთხო, გაგრძელდა რამდენიმე საათი. გავიდა რამოდენიმე ხანი და საბჭოში მოდიან სხვადასხვა პირები, რომლებიც ჩივიან, რომ ჯარისკაცებმა იარაღი აგვართვესო. ყველას აინტერესებს, თუ რამ გამოიწვია ქალაქში სროლა და ან რისთვის გამოსულა შეიარაღებული ჯარი თავის ნებით. რამდენიმე ხნის შემდეგ საბჭოში მოყავთ ვიღაც პოდპორუჩიკი აბულაძე, რომელსაც თან ახლავს ჯარისკაცები და რომელნიც ახდენდენ ჩხრეკას, როდესაც ჯარისკაცებს გამოკითხეს, თუ რისთვის გამოვიდენ და ვინ გამოიწვია ისინი, მათ განაცხადეს: მათთან მისულან ყაზარმაში ვიღაცეები და უთქვამთ, რომ ბაზარში სროლაა, ისვრიან წითელი გვარდიელები, რომლებმაც ერთი ჯარისკაცი უკვე მოკლეს და ორი დასჭრესო და არიქა მიეშველეთ თქვენს ძმებსო. ამის გაგონებაზე ჯარისკაცებმა დავატანეთ თოფს ხელი და გამოვიქეცითო. აი ამიტომ გამოვედით და იარაღს ვართმევდით მოქალაქეებსო. როდესაც ისინი დარწმუნდენ, რომ არავითარი ამის მსგავსი არ მომხდარა და ეს ბნელი ძალების მოწყობილი პროვოკაცია იყო და რომ დარწმუნდენ, რომ არც არავინ მოუკლავთ და არც არავინ დაუჭრიათ, ჯარისკაცებმა სინანული განაცხადეს, რომ ვიღაცის ბოროტმა მოქმედებამ ისინი შეცდომაში შეიყვანა და შუაღამემდის ტყუილა-უბრალოთ ირბინეს და ძმათა სისხლი კინაღამ დაღვარეს. მხოლოდ ძმ. აბულაძეები, რომლებიც ხელმძღვანელობდენ ამ ჩხრეკას გუბერნიის კომისარმა დააპატიმრა და ციხეში გაგზავნა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. ჯარისკაცებთან კერძო მუსაიფის დროს გამოირკვა, რომ მათ ეუბნებიან თითქოს წითელი გვარდიელები თვეში ოცდა-ათ თუმანს ღებულობდენ. ამასთანავე, თითქოს წითელ გვარდიელებს მიქონდეს ჯარის სასმელ-საჭმელი და ჯარისათვის მისაცემი ტანისამოსი და თოფ-იარაღი, აგრეთვე, თითქოს წითელ გვარდიელები იარაღდებიან იმისთვის, რომ ჯარს დაუპირდაპირდენ და მათ იარაღი აჰყარონ. ასეთ ბნელ პროვოკაციას ეწევიან ჯარში ბნელი ძალები, რომ ჯარისკაცები და გვარდიელები გადაკიდონ ერთი-მეორეს. ბნელმა პროვოკაციამ უკვე გამოიღო თავის ნაყოფი, და შაბათს საღამოს ქუთაისის ერთ ბეწვზე გადარჩა, საკმაო იყო ერთი პროვოკატორული გასროლა, რომ მთელი ქუთაისი აოხრდებოდა. ღამის თორმეტ-პირველ საათამდი დაიარებოდენ შეიარაღებული ჯარისკაცები და ჩხრეკდენ ყველა გამვლელ-გამომვლელს, მაგრამ ბოლოს დარწმუნდენ, რომ არავითარ წითელ გვარდიელებს არავინ დაუჭრიათ და არც გამოსულან იმ დღეს სრულიად ქუჩაში და ეს განგებ მოწყობილი პროვოკაცია იყო. ეს ფაქტი ბევრ რამეს გვეუბნება, ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ბნელი ძალები ყაზარმაში უკვე შეუდგენ მოქმედებას და ცდილობენ ჯარი გადაკიდონ ხალხს. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება ჯარს და ყაზარმას მიექცეს. აგრეთვე სასურველია, რომ ამხანაგი ჯარისკაცები ასე არ წამოეგებოდენ პროვოკაციის ანკესზე და ყოველ ხმებს გულდასმით შეამოწმებდენ. თუ რამდენათ მართალია იგი და არ გაიმეორებდენ იმას, რაც ოც იანვარს მოხდა. („ს. დ.“).

ძარცვა და ცეცხლი.

21 იანვარს საღამოს 7 საათზე მესხეთის ქუჩაზე დაიწყეს ძარცვა იმ შენობის, სადაც მოთავსებული იყო სამაზრო სამხედრო უფროსის სამმართველოს სხვა და სხვა დიდძალი ნივთები. ჯარის კაცებმა ჯერ გაზიდეს ნავთები და მერე ყაზარმებს ცეცხლი გაუჩინეს. ეს გაიგო მესხეთის ქუჩის თავდაცვის კომიტეტმა და მილიციონერებმა; მოინდომეს ჯარის კაცებისათვის გაზიდული საქონელი ჩამოერთმიათ, მაგრამ ჯარის კაცები გაძალდენ და ჩამორთმევა თავდაცვის კომიტეტმა ველარ შესძლო. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მილიციის უფროსი მილიციონერებით, მაშინაც ჯარის კაცები შედიოდენ ცეცხლ წაკიდებულ შენობაში და იტაცებდენ ნივთებს. ბოლოს ჯარისკაცები განდევნილ იქნენ მილიციონერების საშუალებით. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ენერგიული ზომები მიიღო და, როგორც იქნა, გადაარჩინა ცეცხლწაკიდებულ ყაზარმის ახლოს მყოფი თოფხანა, დაიწვა ერთი დიდი შენობა ოთხი დიდ ოთახით. ზარალი დაახლოვებით 1 მილიონ მანეთს უდრის („ხ.ხ.“)

ქუთაისის მუშათა საბჭო. არჩევნების შედეგი: № 1 (ს.დ.) გაიყვანა— 58. ბოლშევიკებმა—8, ს. ფედერალისტებმა—14, ესერებმა 2. („ს.დ.“)

მენშევიკების დეკლარაცია,

წაკითხული დამფუძნებელ კრებაზე ირ. წერეთლის მიერ.

იღებს რა მონაწილეობას დამფუძნებელ კრების მუშაობაში, რომლის მოსაწვევათ ათეულ წლების განმავლობაში მთელი დემოკრატიის სათავეში იბრძოდენ რუსეთის შეგნებული მუშები, რომლებიც მთელი წლების განმავლობაში, სამაგიეროთ იღებდენ ციხეებს, გადასახლებას, კატორღას, დევნას და იღუპებოდენ მეფის საღრჩობელაზე, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, როგორც წარმომადგენელი პროლეტარიატის მოწინავე ნაწილისა, საჭიროთ აღიარებს განაცხადოს შემდეგი:

დამფუძნებელი კრება, რომელიც არჩეულია დემოკრატიზმის მხრით ყველაზე უფრო საუკეთესო საარჩევნო უფლების თანახმად და ამიტომ უფრო სრულიად გამოხატავს ხალხის ნებას, იხსნება არა იმ პირობებში, რომლისთვისაც იბრძოდა რუსეთის პროლეტარიატი, — არა, როგორც მთელი დემოკრატიისათვის უდავო უფლებებით აღჭურვილი ორგანიზატორი რევოლიუციისა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალ ბედს. მისი სრულუფლებიანობა დავას იწვევს და სწორეთ მის მოწვევის დროს მას ემუქრებიან ხიშტებით—არა იმ რუს-სოციალისტისა და რევოლიუციონერისათვის ნაცნობ ხიშტებით, რომლებითაც მეფის მთავრობამ სასიკვდილოთ განგმირა მუშები 1905 წ. 9 იანვარს ქუჩაში თავისუფლებისათვის ბრძოლის სხვა დღეებშიაც და რომლებითაც მან ამავე დარბაზში გარეკა პირველი და მეორე სახელმწიფო დუმა, რომ გაეგზავნა კატორღაში ჩვენი წინამორბედი ს.-დ. ფრაქციის წევრები,—არამედ რევოლიუციის გზა-კვალ აბნეულ ჯარისკაცთა ხიშტებით, რომლებიც მოქმედებენ მთავრობის სახელით, რომელიც თავის თავს უწოდებს მუშათა და გლეხთა და სოციალისტურ მთავრობას.

დამფუძნებელი კრება იკრიბება, როცა მთელი ქვეყანა სამოქალაქო ომის ალში გახვეული, როცა გათელილია ყველა დემოკრატიული თავისუფლებები, არ არსებობს არც პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, არც თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირის, არც გაფიცვის თავისუფლებაც კი, როცა ციხეები ავსებულია დატუსაღებულებით, გამოცდილ რევოლიუციონერებითა და სოციალისტებით და თვით დამფუძნებელ კრების წევრებითაც კი; როცა არ არის მართალ-მსჯულება და თვითნებობისა და

არის უუფლებობის ყველაზე ცუდი ფორმები, რომლებიც, გვეგონა, სამუდამოთ დავასამარეთ თებერვლის დიად რევოლიუციის დროს, კვლავ იღებენ მოქალაქობრივობის უფლებას; როცა ანარქიული განზრახვებით სოციალისტურ მეურნეობის შემოსაღებათ ჩამორჩენილ ქვეყანაში მეტათ არა ხელსაყრელ საერთაშორისო და საშინაო პირობებში იხრწნება და იშლება ყველა მისი საწარმოო ძალები, ისპობა შესაძლებლობა მისი ჩქარი ეკონომიური აღორძინებისა დ ამით მილიონ მუშებს, ორგანიზაციისა და დემოკრატიულ თავისუფლებას მოკლებულებს მოელით სულ ახლო მომავალში შიმშილითა და უმუშევრობით გამოწვეული ყოველგვარი ტანჯვა, კაპიტალის ყველა მოთხოვნილებათათვის სიტყვის შეუბრუნებლათ დამორჩილება; როცა ძალადობის გამო ირყევა მძლავრი კოოპერატიული ორგანიზაცია და იშლება მუშათა კლასის მებრძოლი პროფესიონალური კავშირები, როცა ქვეყნის საადგილ-მამულო სიმდიდრეს უწესრიგოთ იტაცებენ სოფლის მცხოვრებთა უფრო დამოუკიდებელი ჯგუფები და „კულაკები“ (შეძლებული სოფ.) და ეს სიმდიდრე ხელიდან ეცლება გლეხობის უღარიბეს ნაწილს, რომლებსაც რევოლიუციამ აღუთქვა მიწა; როცა ქვეყანა იშლება მთელ რიგ ერთი მეორეზე სრულიათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ, რომლებშიაც ბურჟუაზია ადვილათ შესძლებს რუსეთის პროლეტარიატის ცალკე რაზმებს შორის კავშირის გაწყვეტა და დემოკრატიზმისა და თვით ხალხის ძალა-უფლების წინააღმდეგ გალაშქრება თავის სასარგებლოც გამოიყენოს, რომ უფრო უზრუნველყოს თავისთვის უპირატესობანი შრომისა და კაპიტალს შორის მომავალ ბრძოლის დროს, როცა დაბოლოს, მიიყვანა რა უკანასკნელ საზღვრამდე ჯარის დეზორგანიზაცია, სავსებით გაატიტვლა ფრონტი და დაასრულა ტრანსპორტისა და წარმოების დაშლა, მთავრობა, რომელიც არ უცვნია ხალხის უმრავლესობას, აწარმოებს ზავის შესახებ მოლაპარაკებას ისეთ პირობებში და ისეთ საფუძველზე, რომელიც გახდის რევოლიუციონურ რუსეთს გერმანიის იმპერიალიზმის მოხარკეთ ანდა მისცემს იარაღ აყრილ ქვეყანას საერთაშორისო კაპიტალს გასაძარცვავათ.

ასეთ მდგომარეობაში თვითეული ზედმეტი დღეს მომაკვდინებელ პოლიტიკისა, რომელიც აღვივებს სამოქალაქო ომს დემოკრატიის შორის, აუცილებლათ მიყავს რევოლიუცია არა სახელოვან დაღუპვამდე.

აქეთკენ არ მიისწრაფოდა და მიისწრაფვის მუშათა კლასი, რომლის სახელითაც აწარმოებენ ამ პოლიტიკას, რომელიც საბოლოოთ უმზადებს მას კლასიურ მტრების აუცილებელ გამარჯვებას.

ს.-დ. ფრაქცია მენშევიკების მიუთითებს დამფუძნებელ კრებას შემდეგ მიზნებზე: სქესის განურჩევლათ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლების და პრინციპიალური სისტემის საფუძველზე დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება; დამფუძნებელმა კრებამ, როგორც რუსეთის ხალხის ნების ერთათ-ერთ სრულ უფლებიან გამომხატველმა, უნდა აირჩიოს ცალკე ორგანო ზავის ჩამოსაგდებათ; საეკლესიო, სამონასტრო, კერძო მემამულეების და სხ. მიწების უსასყიდლოთ გლეხობის ხელში გადასვლის შესახებ კანონის დამტკიცება, ზომების მიღება დაშლილ მრეწველობისა და მრეწველობის და მიწამოქმედების შორის დარღვეულ ნორმალურ ურთიერთობის აღსადგენათ; დემობილიზაციის გეგმის შემუშავება და საჩქარო ზომების მიღება ქალაქებისა და მომხმარებელ გუბერნიების სოფლის მცხოვრებთა სურსათით უზრუნველსაყოფათ; სახელმწიფოებრივ ორგანოების სისტემის შექმნა ეკონომიურ ცხოვრების მოსაწყობათ და კანტროლის მოსახდენათ; მუშათა საკითხის სფეროში დამფუძნებელმა კრებამ დაუყონებლივ უნდა შემოიღოს დეკრეტით 8 საათის სამუშაო დღე დაქირავებულ შრომის ყველა დარგებში, ფართო და ყოველ მხრივი სოციალური დაზღვევა და სახელმწიფოებრივი ზომები უმუშევრობასთან საბრძოლველათ; რევოლიუციის მიერ მონაპოვარ სამოქალაქო თავისუფლებათა შესახებ კანონის აღდგენა და დამტკიცება. („ნ. გაზ.“).

ალექსანდრე ცინცაძე

15 იანვარს პეტროგრადიდან მეტის მეტად სამწუხარო ცნობა მივიღეთ: ხუთ იანვარს, დამფუძნებელ კრების გახსნის დღეს, მოჰკლეს ამხ. ალექსანდრე ცინცაძე ამხ. ალექსანდრე კარგათ ცნობილი იყო პეტროგრადის სტუდენტებში. ის თავიდანვე ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელიც შავ-ბნელ რეაქციის დროს სარდაფებში განაგრძობდა მუშაობას და თავისი წვლილი შეჰქონდა მუშათა კლასის გათვითცნობიერებაში. თებერვლის დღეებში ის პირადათ ღებულობდა მონაწილეობას და იარაღით ხელში პეტროგრადის მუშათა კლასთან ერთად იცავდა იმ წითელ დროშას, რომელზედაც სხვა წარწერასთან ერთად იყო „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებასო“. მრავალი ამხანაგები შეიწირა ამ იდეის გამარჯვებამ, ბევრი დაეცა ამ ბრძოლაში, ის კი მაშინ გადაურჩა ნიკოლოზის ჯალათების ტყვიას და ისიც სხვებთან ერთად დღესასწაულობდა 27 თებერვლის ბრწყინვალე გამარჯვებას.

ხუთ იანვარს, როდესაც იკრიბებოდა დამფუძნებელი კრება, შედეგი თებერვლის გამარჯვებისა, შეგნებული ნაწილი პეტროგრადის მუშათა კლასისა და საერთოდ რევოლიუციონური მასსა ესალმება ამ ჭეშმარიტად ხალხის ნება-სურვილის გამომხატველ ორგანოს და მშვიდობიან დემონსტრაციას ახდენს. ამხ. ალექსანდრეც მათ შორის იყო, მაგრამ აი, სწორეთ მათ, ვინც თებერვლის დღეებში იბრძოდა პეტროგრადის ქუჩებში ხალხის თავისუფლებისათვის, აი მათ „სახალხო კომისარების“ ჯალათები გაუმასპინძლდნენ ისე, როგორც მაშინ ნიკოლოზის დამქაშებმა: მშვიდობიან უიარაღო დემონსტრანტებს ტყვიები დაუშინეს და მრავალნიც დახოცეს, მათ შორის, ამხანაგი ალექსანდრეც. თებერვლის დღეებში მას აშორდა ნიკოლოზის ჯალათების გამოსროლილი ტყვია, მაგრამ დღეს გული გაუგმირა მეორე თვითმპყრობელობის—ლენინის ბრძანებით გამოსროლილმა ტყვიამ. აი ასე იქცევა ბალშევიკური მთავრობა, ასე ფეხქვეშ გასთელეს თებერვლის გამარჯვებით მოპოვებული თავისუფლება. ის, რაც დატრიალდა პეტროგრადში უმთავრესად 5 იანვარს და რაც ხდება ეხლა დამფუძნებელ კრების გარშემო, გონს მოიყვანს მათ, ვისაც გულუბრყვილოდ ჯერავდა ბალშევიკების მიერ გამოსროლილი ლოზუნგები. რევოლიუციონური დემოკრატია კვლავ ძალას მოიკრებს და ის შესძლებს შეინარჩუნოს თებერვლის რევოლიუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება. ბევრი ამხანაგები გახდენ მსხვერპლი ბალშევიკების ავანტიურისა, მათ სახელს არ დაივიწყებს გამარჯვებული დემოკრატია.

შენი სახელიც, ამხანაგო ალექსანდრე, უკვდავი იქნება შენს ამხანაგებსა და მეგობრებში.

ქ—ა.

მუშათა წერილები

მუშათა გვარდია და სალდათები.

ერთნი არიან, ძმები არიან.

მუშათა წითელ გვარდიას უნდა ავყაროთ იარაღიო,—გაისმა ეს სიტყვები რევოლიუციის შესარცხვენად, ძმობა-ერთობის, მთლიანობის დასარღვევათ, თავისუფლების დასამარცხებლათ, სრულიად დაუფიქრებლად ზოგიერთ ქართველ ჯარისკაცების მიერ ყაზარმების კედლებში. ამ სიტყვების, ამ ამბავის გაგონების შემდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილი, საკაცობრიო იდეალებით აღჭურვილი მუშა იქნებოდა ის თუ ინტელიგენტი, სოფლის მუშა თუ ჯარისკაცი, თავბრუ დახვეული, გულდასერილი, გულის ტკივილით ალბათ თავს შეეკითხებოდა: რისთვის, რათ უნდა აიყაროს იარაღი თავისუფლების დამცველმა წითელმა გვარდიამ?

პასუხს კი, ვერ მიიღებდა სწორს და გარკვეულს!

ნუ თუ იმისათვის, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი მუშები, დღეს წითელი გვარდიის სახით, რომლებიც იბრძოდენ და იბრძვიან, სიცოცხლეს სწირავდენ, ციხე-ციმბირს ავსებდენ, სახრჩობელაზე ადიოდენ სასტიკი რეაქციის დროს თავისუფლების მოსაპოვებლათ და დღეს, როდესაც თავისუფლება მთელმა მშრომელმა ხალხმა მოიპოვა და ამ მოპოვებულ თავისუფლების გასამტკიცებლად დღეს მზათ არიან დაიცონ რევოლიუცია?

ნუ თუ იმისთვის აყარეს იარაღი ზოგიერთმა ჯარისკაცებმა ზოგიერთ ადგილებში მილიციონერებსა და წითელგვარდიელებს, რომ ისინი წეს-რიგს იცავდენ ქალაქებში, ანარქიას ებრძოდენ და ებრძვიან და მით თავისუფლების წითელ დროშას იცავენ?

ნუ თუ ამისათვის განიზრახეს შეუგნებელ სალდათებმა, რომ ძმათა შორის შეტაკება მოეხდინათ, სისხლი დაეღვარათ?

ამხ. სალდათებო! არ შეცდეთ, არ წამოეგოთ ხალხის და თავისუფლების მტრების, პროვოკატორების მიერ გადასროლილ ანკესზე. არ დაუჯეროთ პროვოკატორებს. ისინი თქვენში მტრობას თესავენ გვარდიელების შესახებ და უნდათ თქვენი შეუგნებლობით შეგატაკონ თქვენს ძმებს, ამხანაგ მუშებს, რომ თქვენი შეტაკებით შემდეგ ისარგებლონ პირადი ბედნიერებისათვის, რევოლიუციის დასამარცხებლათ.

მშრომელი მუშები, ეს ხომ თქვენი ძმები არიან, ეს ხომ ის შეგნებული ამხანაგი მუშებია, რომლებიც მეფის სასტიკი რეაქციის დროს ქალაქიდან-ქალაქში, სოფლიდან სოფელში დადიოდენ და შეუგნებელ სოფლის ხალხში შეგნება შეჰქონდათ, მუშაობდენ ხალხის საკეთილდღეოთ და ამისათვის ყოველივე დამცირებას, ციხე-ციმბირს იტანდენ, რომლებსაც თავი განწირული ჰქონდათ საკაცობრიო რწმენის გასამარჯვებლათ და ბნელ-მასაში უშიშრად მუშაობდენ, ამისთვის მეფის მტარვალები წამების ჯვარზე აკრავდენ კატორღა ოჯახის კერათ ჰქონდა ამ მუშებს გადაქცეული.

ეს ყველაფერი იყო შეგნებულ მუშების თავზე, ამხ. სალდათებო, ამ ოცი წლის განმავლობაში და დღეს, როდესაც დამხობილია უკვე მეფის ტახტი მუშათა და რევოლიუციონურ სალდათების შეერთებული ძალით და ამართულია წითელი დროშა ძმობა-ერთობის, თავისუფლების აი, სწორეთ ამ მოპოვებულ თავისუფლებას საფრთხე უმზადდება მტრების მიერ. მუშათა წითელი გვარდია, რომლის, ძვლებზე არის აშენებული თავისუფლების ტრიბუნალი მის დასაცავად გამოდის და იცავს. და თქვენ, ამხ. სალდათებო, მუშათა წითელ გვარდიასთან ერთად უნდა დაიცვათ თავისუფლება განსაცდელისაგან. მუშა, რომელიც თოფით ხელში გამოდის,—ეს თქვენი ძმა—ამხანაგია, თქვენივე ინტერესების შეგნებული დამცველი. მუშა და სალდათი—ეს ორი, ერთი არსებაა, ორივე დაჩაგრულია და მათი ინტერესი ერთი უნდა იყოს—სიყვარული, ძმობა და თავისუფლება!

ამხ. სალდათებო! განა არ გახსოვთ რევოლიუციის პირველ დღეებში მეფის ტახტის დამხობის შემდეგ წითელ დროშებზე პირველად თუ როგორ ეხატა სალდათი და მუშა ხელი-ხელ ჩაკიდებული, შეერთებული თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ეს დროშა დღესაც ფრიალებს მაღლა და ნუ დასცემთ ძირს მტრების გასახარებლათ.

ვინც თქვენთან მოდის და ავრცელებს ათას გვარ პროვოკაციულ ხმებს არ დაუჯეროთ, ისინი გატყუებენ ხალხის მტრები ყველგან ბევრია და ალბათ ჯარისკაცებშიაც შემოიპარენ და ცდილობენ ძმები ერთმანეთს შეატაკონ, შური და მტრობა ჩამოაგდონ და თვით ისარგებლონ.

არ აყვეთ ასეთ პროვოკატორებს. უნდა გახსოვდეთ, რომ მუშათა გვარდიელი, მილიციონერი და სალდათები ერთნი არიან, ძმები არიან,

ყველა თავისუფლების, წესიერების დამცველი უნდა იყოს ასეთ კრიტიკულ დროს.

აკ. პლებეიშვილი.

განჯის ამბების გამო

განჯის გუბერნიაში მომხდარმა ამბებმა საერთო ყურადღება მიიპყრო. რა თქმა უნდა, ყველა თავისებურათ ხსნის ამ მოვლენას: ზოგიერთები იქამდე მიდიდენ, რომ ეს უბედურება პარტიულ მიზნებისთვის გამოიყენეს. ასეთია ბალშევიკები. ისინი ამ უბედურების მიზეზათ კომისარიატს და მუშათა ცენტრს თვლიან. ვინ არის მართალი? მე მინდა მკითხველს გაუზიარო ჩემი პირადი შთაბეჭდილებანი, რომელიც გამოვიტანე მუსულმანებთან მოლაპარაკების დროს და ადგილობრივ საქმის გარემოების გაცნობის შემდეგ. რა თქმა უნდა, ბევრი ცდილობს განჯის ამბები და მუსულმან ყაჩაღ-მძარცველთა საქციელი ეროვნულ ნიადაგზე გადაიტანონ და ეს უბედურება მთელ მუსულმან ერს მოახვიონ თავზე, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ძველი პოლიტიკაა ეროვნებათა შორის შუღლის და მტრობის დასათესათ. თვით განჯაში იყო ორი სამი საცდელი მაგალითი, თათრებისა და სომხების ერთი მეორეზე მისასევათ, მაგრამ, საბედნიეროთ ამ მხრივ პროვოკაცია უნაყოფოთ დარჩა. რაც შეეხება თათრებს ყველამ კარგათ იცის, რომ ამიერ კავკასიის არც ერთ ერში არ არის ყაჩაღობა ისე ფეხმოკიდებული, როგორც მათში.

ძველი მთავრობა თუ როგორ ექცეოდა მათ, ეს ყველას კარგად ახსოვს. მათში არ იყო არც სწავლა-განათლება შეტანილი, არც არავითარი კულტურა. საუკუნოების განმავლობაში ღვთის ანაბარათ იყო მიტოვებული ეს ერი და ყოველგვარი ბოროტებაც უმთავრესად მათში იკიდებდა ფეხს. საუბედუროთ, რევოლიუციის შემდეგაც ძალიან ცოტა იქნა გაკეთებული მათში კულტურის შესატანათ. რევოლიუციის ცეცხლი სტიქიურად იქნა გადატყორცნილი მათში და ამ ბოლო დროს ჩვენ ვხედავთ, რომ აგრარული მოძრაობა იწყება მათში. ამ გარემოებას ანგარიში გაუწიეს ზოგიერთმა ბეგებმა და რევოლიუციის ტალღების თავიდგან ასაცილებლათ შეადგინეს და მოაწყვეს ორგანიზაცია მძარცველთა და ყაჩაღების მთელი ბრბო შექნეს, რომლებსაც, როგორც ირკვევა, უმთავრესად თითონვე ხელმძღვანელობენ ზოგიერთ ადგილებში. და აი ამ ყაჩაღთა ბრბომ ჯერ ზოგიერთი სადგურები და რკინის გზის მოსამსახურეები დაცარცვეს, შემდეგ იარაღის გულისათვის მიმავალ ეშელონებზე მოაწყვეს თავდასხმა. მუსულმანთა მშვიდობიან მცხოვრებთ აქ არაფერი ბრალი არ უდევთ. ეს ყველასათვის ნათლია, გარდა იმ პროვოკატორებისა, რომელთაც სურთ მათი ჩამორჩენილობა ბოროტათ გამოიყენონ.

აქსტაფიდგან მოწყებული თფილისამდე 4—5 სადგურს იცავს თვით მუსულმანთა მილიციონერები, რომლებიც ახლო მახლო სოფლების მიერ არის მიჩენილი სადგურის დასაცავათ. უნდა ითქვას მათდა სასახელოდ, რომ ამ სადგურებზე მშვიდობიანობა არის და არავითარ თავდასხმას დაცარცვას ადგილი არა აქვს. ასეთი დაცვის წესი შექნეს იმ სოფლებმა, სადაც განვითარება და კულტურა ცოტათი უფრო ფეხმოკიდებულია.

სალოღლის სადგურზე სცადეს თავდასხმა მძარცველებმა, მაგრამ შემთხვევით იქ მდგომმა ქართული პოლკის ერთმა „ვზვოდმა“ ისინი უკან გააბრუნა. როდესაც მეორე დღეს ჩვენ იქ მოგვიხდა ყოფნა კომისიაში, სოფლელმა თათრებმა თავიანთ კრებაზე გვითხრეს, რომ ის, ვინც გუშინ სადგურს დაეცა გასაცარცვათ ჩვენი სოფლიდან არიან, ჩვენ ვიცით მათი ვინაობა, ისინი აშკარათ მოქმედებენ, მაგრამ ჩვენ უღონონი ვართ მათ წინააღმდეგო. თუ გსურთ წამოიყვანეთ შეიარაღებული ძალა და ჩვენ გასწავლით, გიჩვენებთ, სადაც არიან ისინი და თუ მოგვაშორებთ დიდი ბედნიერი ვიქნებით, რადგანაც ჩვენც არ გვაკლებენ ხელს და როგორც წაგვახელებენ ჩვენც, მშვიდობიან მცხოვრებთ გვცარცვავენო. მართალია, ზოგიერთ ადგილებში იყო ისეთი მაგალითი, რომ ადგილობრივ მცხოვრებმა მცირე რიცხოვანმა მუსულმანთა ჯგუფმა დასდვა სიტყვა სადგურს დავიცავთო და ვერ შეასრულეს ბოლომდის თავიანთი სიტყვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი გულწრფელათ არ ეკიდებოდენ საქმეს. რას გახდება ერთი სოფლიდგან მიჩენილი 10—15 მილიციონერი, როცა სხვა მაზრებიდან ასობით შეიარაღებული ბრბო მძარცველთა სადგურს ესხმის გასაცარცვათ. ვიმეორებ, მშრომელი ნაწილი მუსულმანთა დემოკრატიისა ამ საქმეში დამნაშავე არაა და ამ სისხლის ღვრის და აოხრების მთელი ერისათვის თავზე მოხვევა დიდი დანაშაულია.

ვინც იცნობს მუსულმანთა დემოკრატიას ცოტათი მაინც, ვინც თავიდან თვალს ადევნებდა ამ მოვლენის დაწყებას და მის განვითარებას, დამეთანხმება, რომ ძირითადი მიზეზი მომხდარ უბედურებისა მუსულმანთა მხრივ მათ კულტურულ ჩამორჩენილობაშია, რის წყალობითაც ყაჩაღობას მასსიური ხასიათი აქვს მათში. რაც შეეხება საქმის გამწვავებას, აქ ბევრი მიზეზებია ფაქტებით ნათელყოფილი, როგორც მაგალითად მიმავალი ჯარის-კაცების თავდაუჭერლობა მუსულმან მცხოვრებთა მიმართ, თითონ ჯარის-კაცთა შორის ისეთი პროვოკატორული საქციელის ჩადენა, როგორც მობალშევიკე ლეჟავას საქციელი და სხვა მრავალი ასეთები, რომელსაც მომავალი ნათელყოფს უფრო კარგად და მიუდგომლათ, ვიდრე ზოგიერთი პარტიული ქინიანობით დაბრმავებულნი.

ბიქტორ ნინიძე.

ბრალდების დარღვევის ნიმუში

თ. კალანდაძემ მისი მადლიანი კალმის ერთი მოსმით მიწასთან გამასწორა... არ მეგონა, თუ მისი ამდენი ყურადღების ღირსი გავხდებოდი. არ მეგონა, თუ ამდენ დროსა და ადგილს დამითმობდა ის, მაგრამ მისმა თავმდაბლობამ და გულკეთილობამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. მოვუსმინოთ...

„მოხალისე ცილის მწამებელი, აბდაუბდის და სიცრუის მჩხახველი, ცრუპენტელა, პროვოკატორი, დემაგოგი, უსირცხვილო, „კაზიონი“ მენშევიკი, მუცელზე მხოხავი, ლაქია, თუთიყუში“... აი სიტყვათა თაიგული, რომლის შეკვრა მხოლოდ „ბრძოლის“ მწერალს შეუძლია. ესაა ლიტერატურული ეთიკა სოციალისტის და სოციალისტურ ორგანოსი!

საზოგადო მოვლენაა, და ამას ვერც ბატონი თ. კალანდაძე ასცდა: როცა არსებითად არაფერი აქვთ სათქმელი, მაშინ მოწინააღმდეგის ლანძღვა-გინებით სცდილობენ დაარწმუნონ ქვეყანა თავის სიმართლე'ში, მაგრამ ეს იმდენათ გაძველებული საშუალებაა, რომ ამით ფონს გასვლა ცოტა საეჭვოა!

ჩემი „აბდაუბდის“ უმოწყალო კრიტიკას ბატონი თ. კალანდაძე ასე იწყებს: „ბალშევიკები სცდილობენ ძმას ძმის სისხლი დააღვრევინონო,—გამოდის, რომ ბრძოლა რევოლიუციონურ ხალხსა და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას შორის, ძმებს შორის ატეხილი სისხლის ღვრა ყოფილა“-ო,—დაასკვნის ის!

ჩემი დებულებიდან, თურმე, თედორეს დებულება გამოდის, მაგრამ მისი დებულებიდან კი ნამდვილათ შემდეგი გამოდის: მთელი რუსეთის სოციალისტების აღმზრდელი და სოციალისტური აზროვნების ხელმძღვანელი გიორგი პლეხანოვი, რომელსაც ბალშევიკი წითელგვარდიელები „სოციალისტურ რევოლიუციის“ დაწყების პირველ დღეებშივე ავათმყოფს ლოგინიდან ათრევდენ, კონტრ რევოლიუციონერი, ბურჟუა ყოფილა!

მაქსიმ გორკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დ 25 წლის ლიტერატურული მოღვაწეობა პროლეტარიატს შესწირა, კონტრ-რევოლიუციონერია! ალბათ, იმიტომ გაუხვრიტეს ტყვიით გვერდი! სოციალისტური პრესა, (ბალშევიკებს გარდა), რომელიც სასტიკათ იდევნებოდა და დღეს თითქმის გაქრა „ბალშევიკების სამეფოში“, თავისუფლება სიტყვის, წერის, სინდისის, რომელიც ბალშევიკების მიერ ფეხქვეშ ითელება, კონტრ-რევოლიუცია ყოფილა!

მთელი რუსეთის ხალხის ნებისყოფა,—დამფუძნებელი კრება,—რომელიც ხიშტებით იქნა გარეკილი, იმ ხიშტებით, რომელსაც ბალშევიკები 30 35 მანეთს აძლევენ დღე და ღამეში ერთგული სამსახურისათვის,—კონტრ - რევოლიუციონური ყოფილა!

მთელი რუსეთის სიამაყე—წერეთელი, რომელსაც „რევოლიუციის ერთგულმა დარაჯებმა“—მაუზერები მიაბჯეს გულზე თავრიდის სასახლეში და რომელიც შემთხვევამ გადაარჩინა,—კონტრ-რევოლიუციონერი ყოფილა!

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომლის წინააღმდეგ ბალშევიკური „კავკ. რაბ.“ და „ბრძოლა“ არშინ-ნახევრიანი ასოებით მოუწოდებენ ბრმა და ნაკლებათ გათვითცნობიერებულ ჯარისკაცებს იარაღით ხელში გამოვიდენ და დაამხონ—კონტრ-რევოლიუციონური ყოფილა!

ჩვენი ჭალარა მასწავლებელი ნოე ჟორდანია, რომლის ბრძნული პოლიტიკით ამიერ-კავკასია ჯერ გადარჩენილია ანარქიის ტალღისა და ცეცხლისაგან და რომელსაც ბალშევიკები წარა-მარა ვინ იცის, როგორ არ ამკობენ,—კონტრ-რევოლიუციონერი ყოფილა!

დარჩენ მხოლოდ ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და თედორე კალანდაძე, სერიოჟა ქავთარაძე, სტეფანე შაუმიანი და სხ., რომელნიც მაღლა ატარებენ რევოლიუციის და თავისუფლების წმინდა დროშას და სოციალიზმის მოციქულები არიან.

მაგრამ ნება მიბოძოს მე, ცოდვილს, ამაში ცოტა ეჭვი შევიტანო!.. თქვენთან რევოლიუციონურ ყიჟინის დაცემას, მათთან „მუცელზე ხოხვა“ და „ლაქიობა“ ვამჯობინო!..

ცოტა დაბლა ბატონი თ. კალანდაძე ამონაწერებს აკეთებს ჩემი წერილიდან დ დაასკვნის: „ეს იგივე სისულელეა, რომლის თუთიყუშივით გამეორება შეუძლია მხოლოდ „კაზიონი“ მენშევიკსო“. აბა რა არგუმენტია აქ მოყვანილი მოწინააღმდეგის აზრის დასარღვევათ, გარდა „ბრძოლისა“ და თედორესათვის ჩვეულებრივი ლანძღვა-გინებისა? ქვევით კიდევ ამონაწერი და კიდევ ასეთი მაგარი არგუმენტი: „აქ ყველაფერია: დაწყებული აბდა-უბდით და გათავებული ცილის წამებით“-ო, მაგრამ რატომ არის ეს „აბდა-უბდა“, რაში გამოიხატება „ცილის წამება“, ამის შესახებ კვლავ სდუმს ბატონი კალანდაძე!

შემდეგ, „სიწითლის ნიშს მოკლებული“,—მე—მოვუთხრობ თურმე მეშვიდე პოლკში მომხდარ ინციდენტს და დავასკვენი, რომ ეს ბალშევიკების მოწყობილია თქო, მაგრამ იმას კი არ ვამბობ, საიდან გამომყავს ეს დასკვნა! ნუ თუ მართლა არ ვამბობ საიდანაა ცხადი, რომ ეს ბალშევიკური საქმიანობაა?! დიახ, მე ვამბობ ამას და ეს ცხადია იმ ამონაწერიდან, რომელსაც ცოტა დაბლა აკეთებს ბატონი კალანდაძე; მაგრამ მას ან ლოღიკის ძაფი გასწყვეტია, ან განზრახ არ ემორჩილება მსჯელობის კანონს.

მე ვსწერდი: თუთხმეტი იანვრის შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელები, 16 იანვარს თედორეს მოუძღოდენ წინ ტრიბუნისაკენ-თქო და ვკითხულობდი: არის რაიმე კავშირი ამ ორი დღის ორ მოვლენათა შორის, თუ არა თქო! მე მეგონა, რომ ეს საკმაოთ ნათელი იყო, მაგრამ რაკი „ბრძოლის“ პუბლიცისტს ბატონ თ. კალანდაძეს ეჭვი ეპარება, ვეცდები, ეს დებულება უფრო გავნმარტო, რომ მისთვისაც გასაგები გავხადო.

მე ვამბობდი და ვიმეორებ (უფრო ვრცლად): რადგან თქვენ ვერ გაგვიგიათ, რომ ორი ჯარისკაცი, რომლებიც ბალშევიკებს უწოდებენ თავიანთ თავს და რომელთაც ბალშევიზმის იმდენი გაეგებათ, რამდენიც მე ჩინური, რომელთაც თქვენ კარგათ იცნობთ, რადგან ხშირათ თქვენს რედაქციაში არიან და იქიდან მიღებულ დირექტივების თანახმად პოლკში ფარულ კრებებს მართავენ (თითქოს ვინმე უკრძალავდეს აშკარა კრების გამართვას), თხუთმეტ იანვრის შეიარაღებულ გამოსვლას ხელმძღვანელობდენ; მაგრამ რაკი იმათ ხელი შეუშალეს, რაკი ისინი დარწმუნდენ, რომ უძლური იყვენ თქვენი დავალების შესრულებაში, ფარულათ მოგიყვანეს თქვენ დახმარების აღმოსაჩენათ; თქვენაც „ობორონცულმა“ პრეზიდიუმმა საშვალება წაგართვა, უძლურთათვის დახმარება აღმოგეჩინათ და, ალბათ, ამიტომ ხართ ასე გამწარებული და უშმაწური ქუჩური ლანძღვა-გინებით გვიმასპინძლდებით. მაგრამ ჩვენ ლანძღვა-გინების არ გვეშინია! თქვენის მ[illegible]ით ბატონო კალანდაძევ ჩვენდამი ასეთი მომართვა არ ახალია, ძველია: ჩვენ ფაქტებს ვუწევთ ანგარიშს, რომელნიც, სამწუხაროდ თქვენდა, თქვენს სასარგებლოთ არას ლაპარაკობენ!

თქვენ თუ პოლიტიკური მოღვაწე და მებრძოლი ბრძანდებით,—ნუ თუ არ გაგეგებათ წესი ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლის მიტინგზე მოწვევისა თავის პროგრამის განსამარტავათ?! მოგეხსენებათ თუ არა თქვენ, რომ პოლკში სრულ უფლებიანი დემოკრატიული ორგანოა, პოლკის კომიტეტი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ასეთი მოპატიჟება? უკიდურეს შემთხვევაში, როცა მობრძანდით, ნუ თუ თქვენ ზნეობრივათ არ იყავით ვალდებული, რომ თუ კომიტეტის თანხმობა არა, აზრი მაინც გაგეგოთ თქვენი გამოსვლის შესახებ, სანამ ტრიბუნისაკენ გაეშურებოდით? მაგრამ სხვაგან სად ემორჩილებით რაიმე წესს, რომ აქ დამორჩილებოდით? ნუ თუ კიდევ იტყვით, რომ ეს განზრახული თავდასხმა არ იყო, რომ პოლკში არევ-დარევა შემოგეტანათ?

თქვენ კატეგორიულათ აცხადებთ, რომ „აუცილებლათ ლაპარაკი არ გქონიათ გადაწყვეტილი, ვინაიდან კრების ერთმა ნაწილმა („ობორონცულმა“) პრეზიდიუმის მეთაურობით აურ-ზაური ასტეხაო“!

თუ ნათლად დამტკიცებთ, რომ თქვენი გამოსვლა შეუფერებელი იქნებოდა პოლიტიკური მებრძოლისათვის, შეგვირყიეს თქვენი გადაწყვეტილება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ ასეთი გადაწყვეტილება არ ქონებოდეთ! „არ მინდა საშინაო საქმეში ხელი შეგიშალოთ-მეთქი და წამოვედიო“,—ამბობთ თქვენ!

რაც შეეხება თქვენს წამოსვლას, მე მგონია, მეხსიერება გღალატობთ, ან განგებ ივიწყებთ თქვენი წამოსვლის დროს! თქვენ წამობრძანდით მხოლოდ მაშინ, როცა მეორეთ არჩეული თავმჯდომარეც გადადგა და მიტინგიც ფაქტიურად დაიშალა; ნუ თუ ამას ქვია თქვენებურათ ხელის არ შეშლა? „საიდან დაასკვნა ამ საცოდავმა ადამიანმა, რომ ბალშევიკები შეიარაღებულ გამოსვლას აწყობენო“?! —კითხულობთ თქვენ! მე გიპასუხებთ: გადაშალეთ „ბრძოლის“ და „Кавк. Раб.“ ფურცლები და უსათუოდ იპოვით მოწოდებებს: „ამხ.! ჩვენ იარაღით ხელში უნდა შევებრძოლოთ კონტრ-რევოლიუციონურ კომისარიატს, და კავკასიის მუშათა, გლეხთა და სალდათთა საბჭოების ცენტრს! ძირს კონტრ-რევოლ. კომისარიატი, ძირს „ობორონცული“, ბურჟუაზიის მაჩანჩალა ცენტრიო და სხვა“...

თუ ასეთ მოწოდებებს ბეჭდავთ, ცხადია, შეიარაღებული გამოსვლის მომხრე და მომწყობიც უნდა იყოთ (მოიგონეთ შაუმიანის თფილისიდან გამგზავრება, პოზიციიდან მომავალი ეშელონების შეხვედრა და სხვა).

ნუ თუ ეს ახალი ამბავია თქვენთვის?!

თქვენ დიდათ შეუწუხებიხართ და ამაში ჩემს მშიშრობასაც ხედავთ, რომ წერილის ქვეშ ჩემი სახელი, გვარი და მამის სახელი არ არის მოწერილი. მე მეგონა თქვენ ამით ნაკლებათ იქნებოდით დაინტერესებული, რადგან სულ ერთი უნდა იყოს, ბრალდებას ივანე აყენებს თუ პეტრე, მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ ამ ბრალდებების უარყოფა; თუ თქვენ პიროვნება გაინტერესებთ, მე სადაც გნებავთ მოვალ, გინახულებ და გაგეცნობით! თქვენ უნდა დაგერღვიათ ბრალდება, რომელიც სწორათ გიპოვნიათ და მთლიანათ ამოგიწერიათ, და რომლის წინააღმდეგ მხოლოდ ამას ამბობთ: „რომ ვსთქვა ორივე ეს ბრალდება უქმი ფანტაზიის ნაყოფია-მეთქი ცოტა იქნება; მე მეტს ვამბობ და ვამტკიცებ: ამ სულელურ და უსირცხვილო ბრალდების ავტორი გაჟღენთილია „კაზიონური ერთგულების გრძნობით, რომელიც ცდილობს ბალშევიკების ლანძღვით ლაქიობით და მუცელზე ხოხვით დაიმსახუროს თავის მფარველობის—„ერთობელების“ წყალობაო“.

ნუ თუ ეს ბრალდების დარღვევა? ამას ხომ ყველა ქუჩის ბიჭიც შემოგაგინებს და გაიქცევა! ეს თქვენი მკითხველების და თქვენივე თავის მასხრად აგდებაა!

მე შეიძლება პატარა კაცუნა ვარ და თქვენი ყურადღების ღირსი არ ვიყო, მაგრამ ამდენი საგინებლათ თუ კი მოიცალეთ ჩემდა, რომ ორი სვეტი გინებით აავსეთ, ჩემი წამოყენებული ბრალდების დასარღვევადაც უნდა მიგეცალათ; მაგრამ, როცა თავის გასამართლებელი არაფერი გაქვთ, ლანძღვა-გინების მეტი რა დაგრჩენიათ?

„მე სასაცილოთ არ მყოფნია მდივნის გაფრთხილება, რომ თქვენს გამოსვლას, შეიძლება, სამწუხარო შედეგებიც მოყვესო“! აქ გასაკვირი არაფერია... ყოველ ქუჩაზე მყოფ ადამიანისთვის სამწუხარო ამბავი, თქვენ სიცილს უნდა გვრიდეს!

„ბრძოლის“ სწორუპოვარ კალმოსანს უკვირს, რომ „ერთობამ“ ჩემი წერილი „უკომენტარიოთ“ გაუშვა... აქ ორი კომენტარიაა დასაშვები: გაზეთი ან იტყოდა, რომ ის ვერასოდეს ვერ დაიჯერებს, რომ ბალშევიკებმა ეს იკადრონ, ან—ეს ბალშევიკების მორიგი გა-

მოსვლაათ. რომელ მათგანს მოელოდა ნეტავ ბატონი კალანდაძე?!

უკანასკნელათ ბატონი კალანდაძე ერთს ჩვეულებისამებრ შემოგვიკურთხებს მეც და „ერთობასაც“ და თავის სამაგალითო წერილს ათავებს შემდეგის სიტყვებით: „განაგრძეთ, ბატონებო, განაგრძეთო!“

დიახ, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას პოლიტიკური ბრძოლის წესით! თქვენ კი ნურავითარი საშვალების წინაშე ნუ დაიხევთ...

გვაგინეთ, გვლანძღეთ ქუჩურათ!..

ნარ—ონი.

რუსეთის ამბები

წითელ გვარდიელების წერილი. „ნოვაია „ჟიზნში“ მოთავსებულია შემდეგი წერილი: 28 ოქტომბრიდან ჩვენ წითელ გვარდიაში ვირიცხებოდით. ამ გვარდიის დანიშნულება ჩვენ ისე გვესმოდა, რომ უნდა დაგვეცვა რევოლიუცია მარჯვნიდან მომდგარ კონტრ-რევოლიუციონურ საფრთხისაგან კადეტურ-კორნილოველთა სახით, რომელთაც რევოლიუციის ჩარხის მობრუნება სურდა სურვილისამებრ თავისა და ასეთი საშუალებით ლამობდენ პოლიტიკურ თავისუფლებათა გაუქმებას, რაიც მუშათა კლასმა რევოლიუციონური ჯარის დახმარებით მარტის დღეებში მოიპოვა. ამიტომ ჩვენ მამაცურათ ვიდექით რევოლიუციის მონაპოვართა, რევოლიუციონური წესრიგის დასაცავათ, რომ უზრუნველ გვეყო ის, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვენიდან მომდგარ საშიშროებისაგან.

მაგრამ რა ვიხილეთ ჩვენ, ახალგაზრდა პროლეტარებმა, როცა ჩვენი უფროსების ბრძანებით უნდა თოფები გვესროლა, გაგვენადგურებია ჩვენივე ამხანაგი მუშები, თომელთა დროშაზე წარწერილი იყო: „გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას“!

და ეს დროშები, ის ლოზუნგები, რომლისთვისაც ჩვენ, ახალგაზრდა პროლეტარები, ასე შეჩვეული ვიყავით სოციალ დემოკრატიულ რაზმებში ბრძოლას, ამ ჟამად ბალშევიკი უფროსების ბრძანებით ცეცხლის ალში ნადგურდება, რაც არასოდეს არ მოუმოქმედია მეფის მთავრობასაც კი.

ეს კიდევ ცოტაა. ბალშევიკი ბელადების ბრძანებით, ჩვენ ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც ნაკლებათ ერკვევიან სხვადასხვა კითხვებში, გვაიძულებდენ გვესროლა იმ ამხანაგ მუშებისთვის, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძოდენ მეფის მთავრობის ჩამოსაგდებათ.

რისთვის გვიბრძანებდენ აგრე, ჩვენ არ ვიცით.

დეე, ამაზე პასუხი გასცეს ბალშევიკების მთავრობამ.

ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, პროტესტს ვაცხადებთ ხალხის აგრე დახვრეტის წინააღმდეგ და ვითხოვთ გამორიცხულ ვიქნათ იმ წითელი გვარდიიდან, რომელმაც პროლეტარიატის სისხლში ხელები გაისვარა. დაბეჯითებით ვსთხოვთ სხვა ამხანაგ წითელ გვარდიელებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

ქალაქის პირველ რაიონის წითელ გვარდიელები: **ი. ჩებოტარევი, ა. ბარსუკოვი.**

ქალაქის განადგურება. 24 დეკემბერს ღამით ბესარაბიაში მიწასთან გაასწორეს ქალაქი კილია. ადგილობრივმა ჯარისკაცებმა გასტეხეს ღვინის საწყობი, დაითვრენ და შეესიენ ქალაქს. ამტვრევდენ ყველაფერს, მაღაზიებს ცეცხლს უჩენდენ. მთელი დღე და ღამე ქალაქს ცეცხლი ეკიდებოდა. მრავალი ხალხია მოკლული და დახოცილი. ზარალი რამდენიმე მილიონია.

თავის მოკვლა. 6 იანვარს პეტროგრადში მემარცხენე ს.-რევოლიუციონერების ფრაქციის ბიუროს ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა სტრუპინმა. მაზე ფრიად ცუდი გავლენა მოახდინა იმ დღეს პეტროგრადში მომხდარმა ამბავმა.

ბალშევიკების მთავრობის სიტყვის თავისუფლება. ბალშევიკებმა თავიდანვე დაიწყეს გაზეთების დახურვა, მაგრამ ამ ზომამ ვერ გასჭრა, გაზეთები ისევ გამოდიოდა და კიდეც ავრცელებდენ. ამ ბოლო დროს უტყუარ საშვალებას მიმართეს—გაზეთებს სწვავენ, წითელ გვარდიელები დადიან ქუჩა-ქუჩა, ართმევენ მეგაზეთეებს გაზეთ „პრავდას“ გარდა ყველა გაზეთებს, ალაგებენ ქუჩაში და სწვავენ.

უცხოეთი

საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის მუშათა ყრილობა. იმ დღეებში ბირმინგამში შესდგება საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის მუშათა კომიტეტების ყრილობა ომისა და ზავის შესახებ კითხვის გადასაწყვეტათ. ამ ყრილობის ერთ უმთავრეს კითხვას შეადგენს ელზას-ლოტარინგიის საკითხი. უკანასკნელ პოლიტიკურ ამბების გამო ინგლისელმა მუშათა პარტიამ შესცვალა თავის აზრი ელზას-ლოტარინგიის შესახებ. და თუ წინეთ იმის მომხრე იყო, რომ ის საფრანგეთს დაბრუნებოდა, ეხლა იმ აზრის არის, რომ ეს საკითხი თვით ფრანგებმა გადასწყვიტონ და კიდევ მეტი, ის უნდა გადასწყვიტონ თვით ელზას ლოტარინგიის მცხოვრებლებმა.

რევოლიუცია ავსტრო-უნგრეთში. როგორც ვენიდან მოსულ დეპეშიდან სჩანს, იქ რევოლიუცია დაწყებული. დაიწყო გაფიცვა, რომელიც ფართე ხასიათს ღებულობს, ქუჩებში დემონსტრაციები ხდება, განაპირა ადგილებში ბარიკადები აღმართეს, მთავრობამ მოიწვია თათბირი, რომელზედაც ცნობილი სოციალ-დემოკრატი ვიქტორ ადლერი მიიწვიეს.

სარიყამიშის ამბები

„კავკაზსკი რაბოჩი“ ამას წინათ ივან გროზნის ფსევდონიმით წერილი იყო მოთავსებული, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის მოსვლის შემდეგ სარიყამიშში წესიერება დამყარდა და სხვ. კითხულობ ასეთ სინამდვილეს მოკლებულ წერილებს და აღარ გიკვირს იმიტომ, რომ ალბათ, ამას შევეჩვიეთ. რას ეძახიან წესიერებას?! ჩვენ კი თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ—სარიყამიშში დღეს სრული ანარქია სუფევს. აუწერელია აქაური ამბები. სადგური სადგურს არ ჰგავს, ვაგონები ვაგონებს. გამუდმებული სროლა, ქალაქში სავაჭროები დაცარიელებული და მიკეტილი, საინტენდანტოს სხვადასხვა საწყობები უპატრონოთ (დარაჯები არა ჰყავთ) მიტოვებულია, საიდანაც ეზიდებიან, ვისაც რა სურს; მიმავალი ჯარის ნაწილები ზემოთ ხსენებულ კომიტეტის ნებართვით რეკვიზიციას ახდენს ლაზარეთებში, მიაქვთ, რაც სურთ. არტილერიის საწყობიდან რიგდება იარაღი. ხშირია მკვლელობა. ფრონტიდან მომავალი ტრანსპორტები საკვების უქონლობის გამო სტოვებენ ღვთის ანაბარათ ცხენებს და ყველაფერს, ასობითაა გაშვებული მშიერი ცხენები და დაძრწიან გულსაკლავათ თოვლით მოფარულ სარიყამიშის მიდამოებში. ყოველ ნაბიჯზე ნახავთ ყვავ-ყორნების და ძაღლების საძიძგნათ გამხდარ პირუტყვებს.

საშინელ სურათს წარმოადგენს ამ ჟამათ სარიყამიში. ცხენები, რომლებიც დიდი სიმდიდრე და დახმარება იქნებოდა მიწის მუშისათვის, უპატრონოთ არის დატოვებული. უპატრონოთაა მიგდებული მთელი ავლა-დიდება,—არავინ არ იბარებს, არავინ არ არის პასუხისმგებელი. მოდიან მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტში სხვადასხვა ნაწილების და დაწესებულებების წარმომადგენელნი თხოვნით: ჩაიბაროს კომიტეტმა ქონება, მაგრამ დღეს-დღეობით უძლურია კომიტეტი, რადგან რეალური ძალა (ფრონტიდან მომავალი ჯარის) რევოლიუციონურ კომიტეტს (ბალშევიკურს, რომელიც თფილისიდან მოვიდა) ექვემდებარება. ის კომიტეტი, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს დატყვევებას უპირებდა და თავის თავი უმაღლეს ორგანოთ გამოაცხადა. ამის შემდეგ საყურადღებო ის არის, რომ, როდესაც რომელიმე ტრანსპორტის გამგე, ან სხვა ნაწილიდან მიდიან, ზემოხსენებულ რევოლიუციონურ კომიტეტთან ჩაიბარონ ესა თუ ის ქონება, კომიტეტი აგზავნის აღმასრულებელ კომიტეტში, იმ კომიტეტში, რომელსაც ისინი არ სცნობენ და ანგარიშს არ უწევენ; კიდევ მეტი,—რომლის პრეზიდიუმს დატყვევებასაც კი უპირებდენ.

ასე იბნევა და იღუპება მილიონების სიმდიდრე. ასეთ არევ-დარევით სარგებლობენ ნაძირალები. მღვრიე წყალში თევზს იჭერენ—გამეფებულ ანარქიით სარგებლობენ, მიტოვებულ ავლა-დიდებას იტაცებენ და ვინ იცის, კიდევ რას არ ჩადიან. ამიტომაა, რომ დღეს, როგორც ყველგან, ისე აქ ეს ვაჟბატონები დროთი სარგებლობენ და მოკლე ხანში სიმდიდრე შეიძინეს. ვინ იცის რამდენი ასეთი პიროვნება წინეთ ჯარში გაყვანასაც კი ემალებოდა და ამ დროს ასეთ საშვალებებით ჯიბეს ისქელებდა. ეს იმ დროს, როდესაც ათასნაირი უბედურება თავს დაგვტრიალებს, ურიცხვ ქვრივ-ობოლი, მშიერ-მწყურვალი საშველათ ხელს გვიწვდის. ყველაფერს ამას დემოკრატიამ ანგარიში უნდა გაუწიოს და კიდევაც გაუწევს.

სარიყამიშში გამეფებულ ანარქიას გულგრილათ ვერ უნდა უცქიროს მან, ვინც ხალხის კეთილ-დღეობაზე ფიქრობს. ამისათვის აღმასრულებელ კომიტეტმა მოიწვია ყველა პარტიების ორგანიზაციების წარმომადგენელნი ე. ი. იმ მიზნით, რომ შევქმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მიიღებდა თავის თავზე მიტოვებულ და გაბნეულ ქონების მოკრებას, მიღებას და მოწესრიგებას. პირველ ასეთ კრებაზე მიღებულ იქმნა ხმის უმრავლესობით აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლიუცია, დაახლოებით შემდეგი: „ახალ შემდგარ საბჭოს ევალება მთელი ტეხნიკური მუშაობა—როგორიც არის, მთელი ქონების ჩაბარება და მოწესრიგება, უმაღლესი პოლიტიკური ძალა-უფლება უნდა ექნეს მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის მოწვევა დაევალა ეხლანდელ აღმასრულებელ კომიტეტს. ბალშევიკების შემოტანილ რეზოლიუციაში იყო რევოლიუციონურ კომიტეტთან შეთანხმებულათ მუშაობა და რადგან ეს უკანასკნელი არ იქნა მიღებული განაცხადეს: ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ. მეორე დღეს კრებაზე ხმის უმრავლესობით მიღებულ იქმნა მოიწვიონ რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენელნი, რათა გაეგოთ მათი აზრი და შეხედულება, რომ ამით აეცილებიათ მოსალოდნელი ექსცესები.

რევოლიუციონურ კომიტეტმა აღგვითქვა წარმომადგენლების გამოგზავნა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მესამე კრებაზე არავინ არ გამოცხადებულა. ასე აწეწილად არის საქმე. ამ ბოლო ხანში კიდევ მეტი სამწუხარო მოვლენების მოწამე შევიქენით—მოხდა შეტაკება რუს ჯარისკაცებს და სომხების შორის. დაწვრილებით ამის შესახებ შემდეგ გაცნობებთ.

ნ. ა—ნი.

სენაკის მაზრაში

ქალაქში და მაზრაში წესიერების დასამყარებლათ დაარსდა სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი.

კომიტეტმა გასცა შემდეგი ბრძანება სენაკის გარნიზონისა და მაზრის მცხოვრებლებისადმი:

1. გადაყენებულია თანამდებობისაგან სამხედრო უფროსი სენაკის მაზრისა ესაული კლემბროვსკი, რაიცა ეუწყა თფილისის ბრიგადის უფროსს.

2. დაინიშნა დროებით სამხედრო უფროსის თანამდებობის აღმასრულებლათ პრაპორშჩიკი ალექსანდრე სიმონისძე გამსახურდია, რომელსაც წინადადება მიეცა მიიღოს დაუყონებლივ სამხედრო სარევოლიუციო შტაბთან ერთად მთელი საქმეები და ქონება სამხედრო უფროსის გამგეობისა.

3. განსაკუთრებითი განკარგულების გამოცემამდე სამეურნეო ნაწილის უფროსობა დაეკისროს შტაბს კაპიტან ქირიას, რომელმაც დაუყონებლივ უნდა შეადგინოს მწერლების კომანდა სამხედრო უფროსის გამგეობასთან.

4. მიღება და ჩაბარება მთელი ინვენტარისა და ქონებისა დაშლილი ნაწილებისა შეწყვეტილია. განსაკუთრებით განკარგულების გამოცემამდი.

5. საგარნიზონო სამსახური იდოს თავზე 1 ვზვოდმა სარევოლიუციო როტისა.

6. მორიგ ოფიცრათ ინიშნება პრაპორშჩიკი თვალთვაძე. თანაშემწეთ ეძლევა ჯარისკაცი კაკულია.

7. სასტიკათ აღკრძალულია ყიდვა-გაყიდვა სახაზინო ნივთებისა, როგორც მაგ., ტანთსაცმელისა, იარაღის, ცხენების და სხ. სამხედრო პირებისაგან, რომელთაც არ აქვთ ამის შესაფერისი მოწმობა სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის შტაბისა.

დამნაშავენი ამ ბრძანების დარღვევაში დაუყონებლივ დატყვევებულ იქნებიან, საქონლები ჩამოერთმევათ და როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი დატყვევებული იქნებიან ადმინისტრატიული წესით, პირველჯერ ერთი თვის ვადით ან და ორას მანეთამდე დაჯარიმებით, მეორეჯერ მაზრის საზღვრებიდან გაძევებით სამი თვის ვადით ან ხუთას მანეთამდე დაჯარიმებით.

ევალება სარევოლიუციო როტას, მაზრის და ქალაქის მილიციას თვალყური ადევნონ ამ ბრძანების ცხოვრებაში სწორათ გატარებას. დაუდევრობა მათი მხრით დაისჯება მთელი სიმკაცრით რევოლიუციონურ კანონებისა დაწყებული სამსახურიდან გაძევებით და გათავებული დამნაშავე თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემით.

8. მორიგ ოფიცერმა თვალთვაძემ და მის თანაშემწემ ჯარისკაცმა კაკულიამ დანიშნოს დროებით სადარაჯოები სამხედრო უფროსის გამგეობის, რევოლიუციონურ როტის და 1 და მე-2 პარკის ცეიხგაუზებთან და აგრეთვე ექვს ზარბაზანთან და ცხენებთან.

სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტი.

სოც.-დემ. პარტიაში

ავლაბარი. 21 იანვარს მესამე რაიონის თფილ. ორგ. რ. ს. დ. მ. პ. საზოგადო წევრთა კრება მოხდა ავლაბრის საზამთრო კლუბის დარბაზში. კრებაზე წევრთა საკმაო რიცხვი გამოცხადდა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ალ. დგებუაძე, მდივნათ ივ. ქ—ვა. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო დასმული: მოხსენება მომენტის შესახებ, ანგარიშების განხილვა, კოლექტივის რეორგანიზაცია და მიმდინარე კითხვები. მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არშაგ მარქარიანმა. მომხსენებელმა სხვათა შორის დაუხატა კრებას უარყოფითი მხარეები ნაციონალურ პოლკებისა და საჭიროთ სცნო მხოლოდ ინტერ ნაციონალური პოლკების შედგენა. ამავე დროს ის საყოველთაო შეაირაღებასაც ვერ სცნობს დღეს შესაძლებლათ. გაილაშქრა აგრეთვე ტერიტორიალურ ავტონომიის წინაღმდეგ.

კრიტიკულ მომენტიდან თავის დასაღწევად მომხსენებელი საჭიროდ სცნობს ამიერ კავკასიის სეიმის მოწვევას, რომელიც დააჩქარებს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას. შემდეგ გაიმართა კამათი. ილაპარაკეს ამხ. რეხვი, დოლიძე და თ. შენგელიამ მომენტის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კრება სთვლის აუცილებელ საჭიროებათ ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევას და ძალა-უფლების მის ხელში გადასვლას. სეიმმა უნდა კავშირი შეკრას რუსეთის სხვა სეიმებთან და დააჩქაროს დამფ. კრ. მოწვევა. ვინაიდან ამ მოკლე ხანში მოხდება საერთო მობილიზაცია, ნაციონალური პოლკები დროებით რჩებიან. საერთო შეიარაღების შემდეგ ისინი დაიშლებიან. სეპარატიული ზავი ამიერ-კავ. მიუღებელია, ზავი საერთო რუსეთის მასშტაბით უნდა შეიკრას.

ანგარიშების განხილვის შესახებ კრება ადგენს, ვინაიდან აქამდი, ამ რაიონში არ არჩეული სარევიზიო კომისია აირჩეს ასეთი და განიხილოს პირველ იანვრამდე სრული ანგარიში რაიონის ლეგალურ მუშაობის დაწყებიდან და წარუდგინონ მომავალ საზოგადო კრებას დასამტკიცებლათ. დაბოლოს მოხდა კოლექტივის რეორგანიზაცია არჩეულია 25 წევრი. არჩეულია აგრეთვე სარევიზიო კომისია, სადაც შედიან: თ. შენგელია, მ. წივწივაძე, გ. ოსიპოვი, მენთეშაშვილი, ტალიკაძე შაქრო, რომლებსაც ევალებათ ძველი და ახალი ანგარიშების მოწესრიგება.

22 იანვარს მოხდა ახლად არჩეულ კოლექტივის წევრთა კრება. კრებას დაესწრო ოცამდე წევრი. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები დაისვა: პრეზიდიუმის არჩევა, კრებებისთვის დღეების დანიშვნა, წითელი გვარდია, ანგარიშები, მიმართვა სახალხო უნივ. გამგეობას და სხ.

პრეზიდიუმში შედიან: თავმჯდომარეთ არშაგ მარქარიანი, მის ამხანაგათ ვარლამ კალანდაძე, ბიქტორ კაპანაძე, ხაზ. ან. თუმონიანი, მდ. ივ. ქობალავა. კოლექტივის წევრ. იკრიბებიან ხუთშაბათობით საღამოს 6 საათზე, პრეზიდიუმში თითქმის ყოველ დღე. წითელ გვარდიელების გასაწრთვნელად ევალება თავდაცვის კომისიას შეიმუშაოს ინსტრუქცია და გამოგზავნოს ინსტრუქტორები. რაიონულ ინტერ-პარტ. ბიუროში აირჩიეს მარქარიანი, კალანდაძე, თუმონიანი და მეგრაბიანი. პრეზიდიუმს ევალება შეადგინოს გასული წლის სრული ანგარიში.

კოლექტივს ევალება მიჰმართოს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას გახსნას სისტემატიური კურსები, ლექციები, საუბრები და სხ.

ძმა კაცი.

პროვინცია

ქ. ფოთი. ათი წელია, რაც ქ. ფოთში არსებობს ქალთა კერძო პროფესიონალური სკოლა. გამგე ამ სასწავლებლისა ნ. ბ. ას. ლოლუა. დიდი არის მნიშვნელობა ქალთა პროფესიონალური სკოლისა საერთოდ და მით უმეტეს საქართველოში, სადაც ასეთები ძალიან იშვიათად მოიპოვებიან. სწავლა ამ სასწავლებელში სასურველად არის დაყენებული, როგორც მე პირადათ ვიცი ბევრი ქალები, რომლებმაც ამ სკოლაში დაასრულეს კურსი; დღეს ისინი, თავიანთი ცოდნით მატერიალურათ უზრუნველყოფილნი, საზოგადოების გათვითცნობიერებულ წევრებად ითვლებიან და ღირსეულად ეწევიან ცხოვრების მძიმე უღელს.

ამ სკოლის მესვეურებმა და გამგემ ქ-ნ ნ. ლოლუამ აღძრეს შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ამა მიმდინარე 1917—18 სასწავლო წლიდან ნება მიეცათ პროფესიონალურ სკოლასთან ერთად პროგიმნაზიის გახსნისა. ნებართვა მოვიდა და პირველი კლასი პროგიმნაზიისა კიდევაც გაიხსნა. 15 იანვრიდან უკვე დაიწყო მეცადინეობა. მომავალ ენკენისთვიდან განზრახულია პროგიმნაზიის მეორე კლასის გახსნა.

ფ. რ.

ჩაქვი. 17 იანვარს, ორგანიზაციის სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი დროებითი დადგენილება: რადგან აქ სურსათის ნაკლებობას განვიცდით, ამის გამო ვსთხოვთ იმ მუშებს და იმ მუშა ქალებს, რომლებიც აქ სამუშაოდ მოემგზავრებიან დროებით შეაჩერონ წამოსვლა და როცა საჭირო იქნება, იმ შემთხვევაში ვაცნობებთ გაზეთის საშვალებით. და თუ მუშები ამ მოვლენას ანგარიშს არ გაუწევენ და მაინც წამოვლენ, მათ მოელით შიმშილი და თან უმუშევრობა.

მონდობილობით ქრისტაფორე იმნაიშვილი.

ქ. ხაშური. შავ-რაზმელ-რეაქციონერების აგიტაცია ჩვენშიაც დღითი-დღე ფართო ხასიათს ღებულობს. ახლა ისინი მთელ ძალ-ღონეს იკრეფენ მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ, თითქოს ამ უკანასკნელს ძალა აღარ შესწევს და ერთი ხელის შემოქნევით უნდათ მოსპონ.

ჩვეულების დავიწყება ძნელია, როდესაც ჩვენებურ შავ-რაზმელებს (უმეტესათ კი მემამულეებს) აგონდებათ თავიანთი ტკბილი წარსული, მაშინ პირიდან დორბლებსა ჰყრიან, თავებს კედლებს ახეთქებენ და ბოლოს კი ადგებიან ასეთ გზას: ძმა ძმას წაჰკიდონ და ამით მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ.

19 იანვარს ქ. ხაშურში გაავრცელეს შემდეგი პროვოკაციული ხმები: გორიდან ქართული პოლკი მოდის წითელი გვარდიის იარაღის ასაყრელათო და სხ. ასეთმა პროვოკაციულმა ხმებმა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი მუშები გააკვირვა და ერთი-მეორეს ეუბნებოდენ: „ჩვენ, როდესაც დავინახავთ ქართველ ჯარისკაცებს, მაშინ გული გვიმშვიდდება, რომ მათთან ერთად დღეს ჩვენა ვართ დიდებული თავისუფლების დამცველნი და თუ ეს პროვოკაცია არაა, მაშინ განა ჩვენი ძმები, ქართველი ჯარისკაცებისაგან ამას უნდა ველოდეთო და სხ. დიახ, ეს ნამდვილი შავ-რაზმელ პროვოკატორების ყბედობაა, რომლებმაც უკვე გამოჰყვეს სოროებიდან თავი და როგორც ზევითა ვსთქვი, ძვირფას თავისუფლებას ერთი ხელის შემოქნევით უნდათ ჩასცხონ გულში მახვილი და მოსპონ. მაგრამ არის ერთი ხალხური ანდაზა: „ვირმა პალო აიღო, ერთი სხვას დაარტყა და ორი კი თავის-თავსაო“. დეე კარგათ ახსოვდეთ ჩვენებურ შავრაზმელებს, რომ საქმე არც ისეა, როგორც მათ ჰგონიათ და ტყუილათ ნუ იწუხებენ თავს.

ჩვენ, ხაშურის მუშები მოვითხოვთ ამხანაგ ქართველი ჯარისკაცებისაგან, რომ ხელი გავუწოდოთ ერთი-მეორეს, არ აგვიყოლიონ კონტრ-რევოლიუციონერებმა და ამით დავიცავთ ჩვენი ძვირფასი ძმების სისხლით მოპოვებული თავისუფლება.

მუშა ანტონ ბიბილური.

ჟურუყვეთი (გურია). 8 იანვარს შესდგა ჟურუყვეთის საზ. მრავალრიცხოვანი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მობილიზაციის გამოცხადება და მისი მოწესრიგება; ეწერ-ჟურუყვეთის კოოპერ. გამძარცველების აღმოჩენა, თავმჯდომარე არკვევს, თუ რა ფორმებში უნდა მოხდეს სოფლად მობილიზაცია. ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრებამ აირჩია სამობილიზაციო კომისია 15 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა დაუყოვნებლივ შეამუშაოს სამობილიზაციო სია და გადასცენ აღ. კომიტეტს დროზე შესაფერი ზომების მისაღებათ. კომისიაში შედის 4 დასახიჩრებული ჯარისკაცი. შემდეგ მოხსენებას აკეთებს კომისარი ამხ. ივტიხი მითაიშვილი ქურდების თავ-გასულობის შესახებ. გამოირკვა შემდეგი: ამ ათი დღის განმავლობაში ქურდებს გაუძარცვავთ 2 სამიკიტნო დუქანი. ეწერის კოოპერატივიდან წაუღიათ 2500 მანეთი და ჟურუყვეთის კოოპერატივიდან 1500 მ—მდე ფული და 300 მ. საქონელი. შესაფერი ზომები ყოფილა კომისიის საშვალებით მიღებული, მაგრამ დღემდე მძარცველების კვალს ვერ მიაგნეს. კრებამ მწუხარება გამოსთქვა დღევანდელ კრიტიკულ მომენტში ასეთი საზიზღარი მოქმედების გამო და დაადგინა ეხლავე წაკითხულ იქნას და მუხლობრივ კრების მიერ განხილული კომისიების გამონაძიები, რის შემდეგ მდივანი კრების დავალებით კომისიის გამონაძიებს კითხულობს. ხალხი გულდასმით არკვევს. კომისიის მოხსენების თანახმად კრებამ ეჭვი მიიტანა 3 პირზე შ. ბოლქვაძეზე, ე. გიგინეიშვილზე და ივ. ებრალიძეზე, რომელნიც კრების დავალებით კომისარმა მოიყვანა და გააჩერა კრების შუა ალაგს. მოწინავე პირები ურჩევენ მათ გამოტყდენ დანაშაულში და ხალხი მათ შეუმსუბუქებს სასჯელს და თუ არ გატყდებიან მათ სასტიკი სასჯელი მოელით. აღელვებული ხალხი ყვირის: თქვენ სამშობლოს და რევოლიუციის მოღალატენო და სხ. ისინი არ გამოტყდენ. ამის შემდეგ კრებას შორდებიან ყველა ჯარისკაცები, ხსნიან ცალკე კრებას და მოითხოვენ მოგვეცი დამნაშავე პირები და ჩვენ გავასამართლებთო. კრება ერთხმად ღებულობს ჯარისკაცების წინადადებას და აძლევენ ჯარისკაცთა კრებას გამოსაძიებლათ. აქ მათ დანაშაული ერთი მეორეს გადააბრალეს. ამიტომ კრებამ ეს პირები დაატუსაღა და გაგზავნა სუფსის რაიონის საპატიმროში საქმის გამოძიებამდე. აგრეთვე დაატუსაღეს იმნაძის ქალი და ბოლქვაძის ქალი, რომელთაც ბრალათ ედება მძარცველ თავდამსხმელების შენახვა—ხელის შეწყობა. კრებამ ამ ქალებს თითო თვის ციხე მიუსაჯა, მხოლოდ გ. ნაკაიძეს მძარცველების ხელის შეწყობაში ჟურუყვეთის საზოგადოებიდან გადასახლება. აღნიშნული დადგენილების სისრულეში მოყვანა ადგილობრივ კომისარს დაევალა. კრებამ დაადგინა: რადგანც საკმაო ფაქტი არა გვაქვს ქურდების წინააღმდეგ, ამიტომ დაევალოს ისევ კომისიას განაგრძოს ძიება მომავალ კვირამდე.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. ზ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიებდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ზ. დონხინი
ყოფილი ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი კ. ი. ვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან სავალდებულო დადგენილება

1) 1 თებერვლიდან პური მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს; გამონაკლისს შეადგენენ უცხო ქალაქებიდან ახალ ჩამოსულები, რომელთაც პური მიეცემათ ერთხელი (разовый) ბარათებით.

2) იანვრის განმავლობაში ბინის კომიტეტებს პური მიეცემათ რიგის გარეშე.

3) პურის სავაჭროები ვალდებულნი არიან ნაწილ-ნაწილათ აწონილი პური მისცენ ბინის კომიტეტებს მათგან წარდგენილ ბარათების თანახმათ.

4) პურის დუქნები და ფურნეები ვალდებული არიან პურის გაყიდვა დილის 6 საათიდან დაიწყონ. ბინის კომიტეტებისათვის პური უნდა შემოინახონ მოთხოვნილების თანახმათ.

5) ბინის კომიტეტები ვალდებულნი არიან იქონიონ თვითოეულ ბინაში მცხოვრებ პირთა სია ბინის დამქირავებელთაგან ხელმოწერილი, ეს უკანასკნელები კი პასუხს აგებენ სიაში შეტანილ სიყალბეში და აგრეთვე თუ თავის დროზე არ გააგებიენ ბინის კომიტეტს ამა თუ იმ პირის ბინიდან გადასვლა.

შენიშვნა: ამ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი დროებითი მთავრობის რედაქციით 1917 წ. 17 მარტს გამოცემულ დებულების მე-29 მუხლის ძალით, რომლის თანახმათ დამნაშავენი ისჯებიან მომრიგებელ-მოსამართლეთა მიერ.

(3—3) თფილისის ქალაქის გამგეობა.

მწერალ-მბეჭდავი სტამბა რ[illegible]ისა, გაბაევის შესახვევი, № 1.